# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი-კვირა, 31 მარტი – 1 აპრილი, 2012 წელი.

№62 (6939)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge   ვებ გვერდი: www.open.ge   ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.






# მივმართავ ქართველ ხალხს, სრულიად საქართველოს ყველა მოქალაქეს...

## პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საგანგებო განცხადება

თავიდანვე გულწრფელად ვიტყვი, რომ თითქმის ისეთივე ამაღლებულ განწყობილებაზე ვარ, რა განწყობილებაზეც 2003 წლის ნოემბერში ვიყავი, როცა ვარდებით, მაგრამ არა ვარდებით მოფენილი გზით, ხელისუფლებაში მოვედით, თუმცა ამჟამად, უკვე მთელი ორი ვადის შემდეგ, სულ სხვა ფიქრებით ვარ შეპყრობილი და სულ სხვა სათქმელი მალაპარაკებს. როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მოსვლასა და ხელისუფლების შენარჩუნებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ხელისუფლებიდან ღირსეულად წასვლის დროული ფიქრი, მით უმეტეს, თუ ხელისუფლებაში ყოფნის ორი ვადა, ანუ მთელი რვა წელიწადი, ამის მყარ საფუძველს გვაძლევს.

ჯერ სწორედ ამ მყარ საფუძველზე მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას. ცხადია, ჩვენს ამ რვაწლიან მოღვაწეობაზე ყველა ერთპირად ერთი და თანაც კარგი აზრისა ვერ იქნება, რაც სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია. აკი თვით ჩვენი ბრძენი ხალხის ნათქვამია, თუ კაცს დანახვა არ უნდა, რიყეზე ქვას არ დაინახავსო. ... თუმცა ნამდვილად ბრმა უნდა იყო ან იმდენად რადიკალური და არაკეთილად განწყობილი ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ, რომ თუ ვერ ხედავ, თუნდაც ცალი თვალით მაინც ვერ შეამჩნიო, რა განასხვავებს დღევანდელ ჩვენს ქვეყანას რვა წლის წინანდელი საქართველოსგან, რომელიც ძალიან ბევრი თვალსაზრისით, თანაც მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე პირველად, მართლაც სამაგალითოდ და მისაბაძად იქცა როგორც თვითონ კავკასიის, ისე მთლიანად პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, რასაც უკვე აღიარებაც მოჰყვა ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც, ანუ, როგორც იტყვიან, მოყვარეც აღიარებს და მტერიც.

ჩვენი ზღვარგადასული კრიტიკა, ხშირ შემთხვევაში მიკერძოებული, გამოწვეულია იმ რეფორმების სიმძაფრით, რომელთაც ამ რვა წლის მანძილზე ვახორციელებდით. ცხოვრების სასიკეთოდ გარდამქმნელი ესა თუ ის რეფორმა კი, უებარი წამლისა არ იყოს, გემოტკბილი ვერ არის, ყოველგვარი ნამდვილი რეფორმა მტკივნეულია და არცთუ იშვიათად მწარედ აისახება ჩვენს ყოველდღიურობაზე, რაც ბევრისთვის ზოგჯერ გაუსაძლისია და ჩვენი კრიტიკის, ხან სამართლიანის, ხანაც უსამართლო კრიტიკის მიზეზი ხდება. მაგრამ ჩვენ ამ კრიტიკისა არც გვეშინოდა და არც გვეშინია, რადგან ამ ჩვენი ყველა ღონისძიების საბოლოო მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ხალხის კეთილდღეობაა, ჩვენი გუშინდელი დაჩოქილი და დაბნელებული ქვეყნის ფეხზე დაყენებაა. თუმცა არც იმას ვმალავთ, რომ ჯერჯერობით ვერც უმუშევრობას მოვერიეთ და ვერც სიღარიბეს, ვერც კიდევ დევნილთა და ლტოლვილთა პრობლემების ბოლომდე მოგვარებით დავიკვეხნით... ალბათ, არ შევცდები, თუ ერთ-ერთი ჩვენი დიდი წინაპრის სიბრძნეს მოვიშველიებ და ვიტყვი, რომ ყოველთვის „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი“-ს პრინციპით ვმუშაობდით და ვმუშაობთ, რაც გარკვეულ მოთმინებასთან არის დაკავშირებული, ხოლო, ვინც ითმენს, მოგეხსენებათ, ესეც ჩვენივე ხალხის ნათქვამია, ის იგებს კიდეც...

ჩვენი ყველაზე დიდი „სარგებელი“ კი, რასაც ჩვენივე მოთმინებითა და შეუპოვრობით მოვინაგრებთ, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებაა. პირადად მე და ჩვენს გუნდს, ნაციონალურ მოძრაობას, ჩვენი გაბოროტებული ოპოზიციისგან განსხვავებით, სხვა მიზანი და სხვა საქმე არასოდეს არა გვქონია. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ამ მიზნამდე არც ისე ახლოა, კიდევ დიდი შრომა და ბევრი ძალისხმევაა საჭირო, იქნებ ერთი თაობაც არ ეყოს ამ მიზნის მიღწევას, მაგრამ მე ამაყი ვარ, რომ იქით მიმავალი დიდი გზის გამკვალავთა თავში ვდგავართ.

ამ მხრივ, ანუ ჭეშმარიტი დემოკრატიის თვალსაზრისით, ყველა ჩვენგანის უშეღავათო გამოცდა იქნება მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები... აქ უკვე ჩემს მთავარ სათქმელს მივადექი. ეს სათქმელი, უფრო სწორად, გადაწყვეტილება, ერთწამიერად არ გამიაზრებია. კარგა ხნის ფიქრისა და განსჯის შედეგია. უკეთუ მომავალ არჩევნებში სამართალი გაიმარჯვებს, ეს უწინარესად პირადად ჩემი გამარჯვება იქნება, რადგან არა მგონია, რომ საქართველოში ჩემზე მეტად ვინმეს უნდოდეს სამართლიანობის გამარჯვება, რაც თავისთავად უტყუარი დემოკრატიის გამარჯვებას ნიშნავს, ეს კი, ჩემი არაკეთილმოსურნეების და გასაკვირად, ჩემი ცხოვრების მრწამსი და ჩემი მსოფლმხედველობაა. სხვანაირად ჩემი ცხოვრება ვერც წარმომიდგენია.

მე ჩემი ორი ვადა მეტ-ნაკლებად უკვე ამოვწურე. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მე, ჩემს გუნდთან ერთად, მსოფლიოში პირველმა და პირველად, ჩემი სრულიად ახალი სიტყვა უკვე ვთქვი. რაც დიდი დავით აღმაშენებლის საფლავთან დავიფიცე, მეტწილად აღვასრულე კიდეც: კორუფცია, რაც ასე-რიგად მძვინვარებდა, თუ არ მოვსპე, მოსპობის პირას მივიყვანე მაინც, წესრიგი, რაც ასე აკლდა ჩვენს ქვეყანას, დღეს თვალადსაჩენია, ქურდობას, გამოძალვასა და მექრთამეობას ფრთები ძირშივე შევაკვეცე, წყვდიადი, რომელშიც დიდხანს მოგვიხდა ყოფნა, სინათლეს შევაცვლევინე, დღეს ვერც იმას უარყოფს ვინმე, რომ საქართველოში საუკეთესო გზები გვაქვს, რომლებიც პირდაპირ მომავალთან გვაკავშირებენ... აი ეს ყველაფერი მაძლევს იმის უფლებას, რომ პირნათელი ვიყო ისტორიის წინაშე და, რათა არ დავემსგავსო პუტინს, გინდაც ნაზარბაევს ანდა აფრიკისა თუ ლათინური ამერიკის რომელსამე ბელად-პრეზიდენტს, რომელთაც პირველკაცობის სავარძლები არ ეთმობათ, გადავდგე ჩემი თანამდებობიდან და გარკვეული დროით უარი ვთქვა პოლიტიკაში ჩემს დარჩენაზე. ეს ჩემი არცთუ ჩვეულებრივი ნაბიჯი იქნებ ბევრს არც ესიამოვნოს, ბევრს თავზარიც დასცეს თავისი პირადული კეთილდღეობის დაკარგვის შიშის გამო, მაგრამ მე ვერ ვიქნები ვისიმე მძევალი, თუნდაც ჩემივე გარემოცვისა და თუნდაც საერთოდ ეროვნული მოძრაობისა, რომელსაც, რასაკვირველია, წარმატებას ვუსურვებ მომავალ არჩევნებში, ოღონდ ამჯერად უჩემოდ. დაე ნაციონალებმა თვითონ დაამტკიცონ თავიანთი პარტიული სიძლიერე.

რაც შეეხება არჩევნებს, ჩემი წინადადება ასეთია: მე აღარ ვუცდი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს, ვტოვებ პრეზიდენტის პოსტს და 2012 წლის ივნისში ერთდროულად ვნიშნავ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს. აქვე გაცნობებთ, რომ გუშინ, ამ მიმართვის დაწერამდე, ხელი მოვაწერე „ქართული ოცნების“ ლიდერისთვის საქართველოს მოქალაქობის მინიჭების ბრძანებას. ზემოთ უკვე ვთქვი და დასასრულ კვლავ გავიმეორებ, ყველას ვთხოვ, ნურავინ ნუ გამეჯიბრება ჩემი სამშობლოს სიყვარულში.

პატივისცემით

**მიხეილ სააკაშვილი,**

საქართველოს პრეზიდენტი

2012 წლის 31 მარტი.

## გზად მომავლისკენ

**„ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა დედოფლისწყაროში კოალიციის ოფისის გახსნისას საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს „სიცრუის ჩემპიონი“ უწოდა. ოფისის გახსნას კოალიციის წევრები ირაკლი ღარიბაშვილი, კახა შარტავა, გივი ბერიკაშვილი და ნინელი ჭანკვეტაძე დაესწრნენ.**

**ოფისის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას ივანიშვილმა სოფლის მეურნეობის, განათლებისა და ჯანდაცვის კუთხით კოალიციის ხედვაზე ისაუბრა.**

„ეს ჩვენს ქვეყანაში უძველესი დასახლებული ადგილია და ულამაზესი სახელი აქვს. ამ სახელს საკუთარი ფასი დაედება. თქვენი სახელი დედოფლისწყარო, თამარ მეფის დროიდან მომდინარეობს. აქ სოფლის მეურნეობა დასაბამიდან აღიარებული იყო და რაღაც დროს ამ მხარეს ქვეყნის ბეღელსაც უწოდებდნენ. დღეს აქ რაც ხდება, კარგად ვიცი. აქ, ისევე როგორც მთელ საქართველოში, სოფელი ჩამკვდარია, დაცლილია ახალგაზრდობისგან და წელში გაწყვეტილ გლეხს საკუთარი თავის რჩენაც კი უჭირს.

როდესაც ხელისუფლებაში მოვალთ, ჩვენი პრიორიტეტია სოფელი გავმართოთ, ასევე განათლება და ჯანდაცვაც. ჩვენ კარგად გაწერილი პროგრამები გვაქვს. პირველივე პროგრამა იქნება, როგორ გახდეს საფერმე მეურნეობა პოპულარული.

გლეხს, რომელიც ფერმერად უნდა გადაიქცეს, სჭირდება ხანგრძლივვადიანი, უპროცენტო ფული, რომლის საშუალებითაც მან ძირითადი საჭირო ნივთები უნდა შეიძინოს. პირველ ეტაპზე დახმარება დასჭირდება კარგი, ჯიშიანი თესლებითაც, რაში გამოცდილებაც ჩვენ უკვე გვაქვს და რამდენიმე წელია, საუკეთესო თესლების გამოყვანას ვცდილობთ. დასჭირდება სასუქი და ა.შ. ასევე აუცილებელია ბაზარიც გამოვნახოთ, რათა ჭარბი პროდუქციის რეალიზება იოლად მოხდეს. ასევე მივხედავთ ჯანდაცვას. მე კარგად ვიცი, დღეს რამდენი ადამიანი უსახსროთ იღუპება. ჩვენი პრიორიტეტი იქნება განათლებაც, რომ ჩვენმა მოსახლეობამ კარგი განათლება მიიღოს“, – განაცხადა ივანიშვილმა.

მან დედოფლისწყაროელებს ოფისის ხელმძღვანელი, თამაზ თამაზაშვილის ვაჟი ალექსანდრე თამაზაშვილი წარუდგინა.

„დედოფლისწყაროს ოფისის ხელმძღვანელი ლექსო თამაზაშვილი იქნება. ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია, ის განცხადება არ გავიხსენო, რომლითაც პოლიტიკაში შემოვედი. პირველი, რაც რამდენიმე დღეში მოახერხეს, მოქალაქეობის ჩამორთმევა იყო და მეორე, თამაზ თამაზაშვილი დაიჭირეს.

ირაკლი ღარიბაშვილი ყოველთვის ჩემს მარჯვენა ხელად მოიხსენიებოდა. ბატონი თამაზის დაჭერით ირაკლის აიძულებდნენ, ჩემს გვერდით აღარ ყოფილიყო. არ დაგიმალავთ და, მე და ირაკლის რამდენიმე დღე საკმაოდ რთული გვქონდა. მე მას ვუთხარი, შენი მამა რომ იყოს, კიდევ კი, მაგრამ ნუნუკას მამაა, ის ქალია და იქნებ ჯობდეს, წახვიდე, მე ამას გაგებით მოვეკიდები. ირაკლი შეწუხდა, თუმცა ვაიძულე, რომ ერთი დღე ეფიქრა. ირაკლი ოჯახსაც შეხვდა და თამაზისგან ინფორმაციაც მიიღო. მან შემოუთვალა, მე მედგრად ვარ და არც გაბედო და არც იფიქრო ამის მსგავსიო. დღეიდან ჩვენს შტაბს ასეთი კაცის შვილი მიხედავს. ჩვენს ქვეყანაში, სადაც უამრავი უკანონო პატიმარია, შეგიძლია, კაცი მოკლა, შემდეგ კი ფული გადაიხადო და გამოგიშვან.

ეს საპროცესო გარიგება, რომელიც ამერიკიდან აიღეს, აბსოლუტურად დაამახინჯეს და რაღაც უმსგავსობად გადააქციეს. მას ხალხის გალატაკების საშუალებად იყენებენ. ვისაც ფული აქვს, შეუძლიათ, დააკავონ, ფული გადაახდევინონ და გამოუშვან. ისინი გასაგები მიზეზების გამო თამაზ თამაზაშვილთან საპროცესო გარიგებას არ დასთანხმდნენ. თამაზმა საკუთარი პოზიციით გმირობის მაგალითი გვიჩვენა.

დღესაც ცდილობენ, რომ ნებისმიერი გზით ჩამომიშორონ. ეს არის სააკაშვილის სამართლიანობა. იცით, ბანკზე როგორი თავდასხმებიც განახორციელეს. ესაა სააკაშვილის დემოკრატია. ის ძალიან ბევრს ცრუობს. ის სიცრუის პროფესიონალია, შეიძლება, მას სიცრუის ჩემპიონი დავარქვათ. ის დიდხანს ახერხებდა, რომ როგორც საქართველო, ისე ევროპა და ამერიკა სიცრუეში ემყოფებინა. ჩვენ მოვახერხეთ და რეალურად ვაჩვენეთ მას მისი სახე, მისეული დემოკრატია. დღეს ვეღარ ახერხებს და მალე მას საქართველოდან გასვლაც კი მოერიდება. ის კარგად გააცნობიერებს, როგორია მისი სამართლიანობა და დემოკრატია. აბა, გაბედოს და მოქალაქეობა არ დამიბრუნოს! აბა, გაბედოს და უკან არ დაიხიოს!“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველო რეგიონსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველია ბავშვთა, მოზარდთა, დედათა სიკვდილიანობითა და პენსიების ოდენობით.

„მე პირობას გაძლევთ, რომ ის სიცრუის მანქანა ნელ-ნელა უკან დაიხევს და ჩვენ მოვახერხებთ, რომ ქართული სულისკვეთება ამოვწიოთ. თუ როგორი უსაფრთხო ქვეყანაა საქართველო მსოფლიოში, ამის მაგალითები ჩემს თავზეც კარგად გამოვცადეთ. ის ცდილობს აღმშენებლობის მხრივაც პირველობა აჩვენოს და შედარებებს აკეთებს, რომ ჩვენი პირველობა აჩვენოს, აი, ყველაზე სასაცილო ტყუილი.

ჩვენთან იმის მეათედი შენდება, რაც უნდა შენდებოდეს. ჩვენ რეგიონში და სხვაგანაც გაცილებით მეტი შენდება. არ შეუძლია, რომ რეგიონში და პოსტსაბჭოთა სივრცეში მშენებლობის კუთხით პირველობით დაიკვეხნოს, მან ასეთი რამ მოიფიქრა. როდესაც მოვიდა, პარალელებს ავლებდა აღმაშენებელთან და რაღაც ეტაპზე მსგავსი ეიფორია გვქონდა. შემდეგ ეს დაიმსხვრა. სააკაშვილი მიხვდა, რომ იმ კაცს არ უნდა შედარებოდა და ასეთი ხრიკი მოიფიქრა. ერთ-ერთი საავადმყოფოს გახსნაზე, რომელიც მან მესამე კუთხიდან გახსნა, მოგვახსენა, რომ ყველანი აღმაშენებლები ვართო.

საუბედუროდ, დღეს ჩვენ რეგიონში პირველები მოზარდთა, დედათა, 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობით ვართ. ესაა სააკაშვილისეული პირველობა. ჩვენ ბოლო ადგილზე ვართ სიცოცხლის ხანგრძლივობით და ასევე პენსიების ოდენობით. ესაა ჩვენი რეალობა.

ჩვენ გვქონდა კარგი სპორტი, თეატრი, კინო. ვიყავით წარმატებულები იმ სივრცეში, სადაც ვცხოვრობდით. მართლაც ვიყავით და ვართ პირველები თავისუფლებისთვის ბრძოლაში. ამისთვის შემიძლია, უახლესი ისტორიიდან ორი მაგალითი დავასახელო, რადგან სააკაშვილმა ძველი ისტორია არ იცის. 1989 წლის 9 აპრილს მოგეხსენებათ, ქართველებმა, პირველებმა პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი ნაბიჯი გადადგეს და ამით ერთგვარად საბჭოთა გაურკვეველი მანქანის დაშლის პროცესი დავაჩქარეთ.

2003 წლის „ვარდების რევოლუციასაც“ გავიხსენებ. ჩვენ რევოლუცია მოვახდინეთ, რადგან სამართალი და თავისუფლება გვინდოდა. შევცდით, მაგრამ ჩვენ იგივე ხალხი ვართ. ჩვენ იმ შეცდომებსაც გავითვალისწინებთ, რაც ასეთი სისწრაფის გამო დავუშვით, ახლა უფრო გონიერებით მივუდგებით ამ საქმეს. რეალური დემოკრატიული არჩევნები უნდა ჩავატაროთ და ეს ხელისუფლება არჩევნების გზით მოვიშოროთ“, — განაცხადა ივანიშვილმა

Presage.tv

# ბიძინა ივანიშვილი: აბა, გაბედოს სააკაშვილმა და მოქალაქეობა არ დამიბრუნოს! აბა, გაბედოს და უკან არ დაიხიოს!



## მიმართვა

# მანიპულაციები, რომლებიც საზოგადოებას ნდობას აკარგვინებენ

## კოალიცია „ქართული ოცნების“ ღია წერილი აშშ-ს ელჩს საქართველოში, მის აღმატებულებას ბატონ ჯონ ბასს

თქვენო აღმატებულებავ,

უწინარესად, გვინდა კიდევ ერთხელ გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება აშშ-ს მთავრობის მიერ ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოსთვის აღმოჩენილი ფასდაუდებელი დახმარების, მათ შორის USAID-ს ეგიდით განხორციელებული მრავალრიცხოვანი პროგრამის, გამო. ჩვენთვის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის საქმიანობა, რასაც წლების განმავლობაში ეწევიან NDI-ის და IRI-ის ადგილობრივი ოფისები. ამ ორგანიზაციების ხელშეწყობით ჩვენ საშუალება გვეძლევა, გავაძლიეროთ მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის საფუძვლები, ავამაღლოთ პოლიტიკური ლიდერების და აქტივისტების კვალიფიკაციის დონე, შევიმუშაოთ და დავხვეწოთ პარტიების პოლიტიკური პლატფორმები და პროგრამები, გავაუმჯობესოთ კომუნიკაცია მოსახლეობასთან და სხვ.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელების და თანამშრომლების პერსონალური წვლილი. მაგალითად, მათმა ოპერატიულობამ და მონდომებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ოპოზიციონერი აქტივისტების წინააღმდეგ კონტროლის პალატის და პოლიციის მიერ ამ ორიოდე კვირის წინათ წამოწყებული მასშტაბური რეპრესიების თაობაზე ობიექტური ინფორმაციის გავრცელება, რამაც აღნიშნული რეპრესიები შეაჩერა (იმედია, არა დროებით).

ამასთანავე, გვინდა თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ამ ორგანიზაციების მიერ წლების განმავლობაში განხორციელებულ ერთ პროექტზე - სოციოლოგიურ კვლევებზე. ეჭვი არ გვეპარებოდა და არც ახლა გვეპარება ამ პროექტის ინიციატორთა კეთილ ზრახვებში, ისევე, როგორც ამგვარი პროექტების საჭიროებაში. მაგრამ ჩვენთვის სრულიად აშკარაა, რომ რიგი მიზეზების გამო პროექტი არათუ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, არამედ კონტრპროდუქტიული გახდა დემოკრატიზაციის, კონკურენტული პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებისა და მოქალაქეების მიერ ინფორმირებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთებისთვის. ერთი მხრივ, აღნიშნული კვლევების ჩატარებისა და შედეგების გამოქვეყნების მეთოდოლოგიამ და ფორმატმა და, მეორე მხრივ, მმართველი პარტიის მიერ ნაციონალური ტელევიზიების გამოყენებით ამ შედეგებით მანიპულირებამ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს კვლევებისადმი ნდობა დააკარგვინა.

კვლევების შედეგების იმ ნაწილს, რომელიც პოლიტიკური პარტიების და ლიდერების რეიტინგებს ეხება და რომელიც ყველაზე მეტ საზოგადოებრივ ინტერესს და აჟიოტაჟს იწვევს, არ აქვეყნებენ კვლევების ჩამტარებელი ორგანიზაციები. ყოველ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას ეძლევა მხოლოდ საკუთარი შედეგები ან მხოლოდ პრეზენტაციის დროს ეძლევათ მათი გაცნობის საშუალება. ამასობაში, ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ნაციონალური ტელევიზიები მყისიერად იწყებენ ინტენსიურ პროპაგანდისტულ კამპანიას და აქვეყნებენ ყველა პარტიის და ლიდერის მონაცემებს, რომლებიც მათ მიაწოდა „კონფიდენციალურმა წყარომ“. ტელევიზიებით გავრცელებული მონაცემების შესაბამისობის დადგენა კვლევის ნამდვილ შედეგებთან შეუძლებელია, ვინაიდან ყოველ პარტიას, უკეთეს შემთხვევაში, აქვს მხოლოდ თავისი საკუთარი მონაცემი, ხოლო კვლევების ჩამტარებელი ორგანიზაციები არც ადასტურებენ და არც უარყოფენ მედიით გავრცელებული მონაცემების სისწორეს.

კვლევების ჩატარების და შედეგების შეჯამების მეთოდოლოგიის ძირითადი ნაწილი ხელმიუწვდომელია დაინტერესებული პირებისთვის. მაგალითად, ჩვენთვის უცნობია, მგრძნობიარე პოლიტიკურ კითხვებზე რესპონდენტთა გულწრფელობის ხარისხის გასარკვევად და შედეგების კორექტირებისთვის გამოყენებულია თუ არა რაიმე მეთოდი. ამ საკითხის გადაწყვეტის არასწორმა მეთოდოლოგიამ შესაძლოა გამოიწვიოს ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი (და პერსონალურ უსაფრთხოებაზე ნაკლებად მზრუნველი) რესპონდენტების წილის ხელოვნური ზრდა და საზოგადოებაში არსებული რეალური განწყობების მნიშვნელოვანი დამახინჯება. ამგვარ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის და განმარტებების მოცემა აკრძალული აქვთ კვლევის პროცესში მონაწილე ადგილობრივ ორგანიზაციებსაც.

**აღნიშნული პრობლემების შედეგად:**

- **ოპოზიციური პარტიები და ლიდერები წელიწადში ოთხჯერ ხდებიან ხელისუფლების მასირებული პროპაგანდისტული შეტევის მსხვერპლი, რომელსაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ზურგს უმაგრებენ NDI-ის და IRI-ის ბრენდები.**
- **კვლევების ერთი სეგმენტის (პოლიტიკური რეიტინგების) თაობაზე ატეხილი აჟიოტაჟის და ამ შედეგებით მანიპულირების გამო მცირდება ყურადღება და იკარგება საზოგადოების ნდობა კვლევების შედეგების ძირითადი ნაწილის თაობაზეც.**
- **ოპოზიციური პარტიები რჩებიან მხოლოდ საკუთარი მონაცემების ანაბარა, რაც, საერთო სურათის გარეშე, რაიმე საფუძვლიანი ანალიზისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა. სახელისუფლებო პარტიას კი, ჩვენთვის უცნობი არალეგალური გზებითა და საშუალებებით, ყოველთვის აქვს სრული მონაცემები, რასაც იყენებს სრულფასოვანი ანალიზისთვისაც და მანიპულირებისთვისაც.**
- **კვლევების ჩამტარებელი ორგანიზაციები ექცევიან პოლიტიკური სპეკულაციების ეპიცენტრში, ანუ შედეგად მაინც იღებენ იმას, რისი თავიდან აცილებისთვისაც შემუშავდა პოლიტიკური რეიტინგების არგანსაჯაროების პოლიტიკა. მეტიც, საზოგადოების თვალში ისინი იძენენ არა მხოლოდ „ადგილობრივ პოლიტიკაში ჩარეული“ მოთამაშეების იმიჯს, არამედ „ადგილობრივ პოლიტიკაში ხელისუფლების მხარეზე ჩარეული“ მოთამაშეების იმიჯს.**
- **კვლევების მეთოდოლოგიის, ველის მონაცემებისა და ყველა შედეგის განუსაჯაროებლობა ეჭვქვეშ უსამართლოდ აყენებს კვლევის მომზადებაში, გამოკითხვის ჩატარებაში, შედეგების შეჯამებაში და შედეგების გამოქვეყნებაში ჩართული მრავალი პირის და ორგანიზაციის პროფესიონალიზმს და ობიექტურობას.**

აღნიშნული პრობლემები წლების განმავლობაში არაერთხელ დავსვით როგორც უშუალოდ NDI-ის და IRI-ის ადგილობრივი და ვაშინგტონელი ხელმძღვანელების, ისე აშშ-ს მთავრობისა და კონგრესის წარმომადგენლებთან შეხვედრებისას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ დასმული საკითხები ხშირად იმსახურებდა მათ ყურადღებას, დღემდე ბევრი არაფერი შეცვლილა. მთავარი არგუმენტი ყოველთვის იყო ის, რომ ამგვარ კვლევებს ორივე ორგანიზაცია მრავალ ქვეყანაში ატარებდეს ერთი და იგივე მეთოდით და სპეციალურად საქართველოსთვის ვერაფერს შეცვლიდნენ.

ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ იყო ინიციატივა ქართული კვლევითი ორგანიზაციების მონაწილეობით პარალელური კვლევების ურთიერთმონიტორინგით განხორციელების შესახებ, რაც ორივე ორგანიზაციამ უარყო იმ მოტივით, რომ მათ არ აქვთ ამგვარი პრაქტიკა და რომ ისინი ვერ ითანამშრომლებენ მიკერძოებულ კვლევითს დაწესებულებებთან.

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს პატივისცემას როგორც NDI-ის და IRI-ის წარმომადგენლების, ისე კვლევების საკითხში მათი ზოგადი პოლიტიკისადმი, მაგრამ ვთვლით, რომ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებამდე არსებული მეთოდით კვლევების ჩატარება ხელს შეუწყობს არა მოქალაქეთა თავისუფალი ნების ფორმირებასა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას, არამედ ხელისუფლების პროპაგანდისტული მანქანის გაძლიერებას და სხვადასხვა მანიპულაციისთვის აღნიშნული ორგანიზაციების ბრენდების კიდევ უფრო მეტად გამოყენებას.

შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში NDI-მ და IRI-მ შეწყვიტონ სოციოლოგიური კვლევებით პოლიტიკური რეიტინგების გაზომვა. მზად ვართ, საჭიროების შემთხვევაში, მოგაწოდოთ დამატებითი არგუმენტები და ფაქტები, გიპასუხოთ კითხვებზე და სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად მონაწილეობა მივიღოთ ამ საკითხის განხილვაში.

29 მარტი, 2012.

ერიჰა!



# პარლამენტი — უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო თუ პრეზიდენტის ახირებათა შემსრულებელი?

**მართალია, პარლამენტი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა და, წესით, ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკას უნდა განსაზღვრავდეს, როგორც კონსტიტუციაშია აღნიშნული, მაგრამ მისი ძირითადი ამოცანა პრეზიდენტის ახირებების შესრულება და არსებული კანონებისა და კონსტიტუციის ამ ნათქვამებზე მორგებაა. ეს ტენდენცია კი განსაკუთრებით ბოლო პერიოდშია თვალშისაცემი.**

**ამჯერად საუბარია პრეზიდენტის შარშანდელ ნათქვამზე - მომავალ წელს 26 მაისს პარლამენტის სხდომას ქუთაისში გავმართავო.**

**თუმცა, პარლამენტის პლენარული სხდომების გამართვა მხოლოდ პარლამენტის შენობაში არის შესაძლებელი და პარლამენტის შენობის ადგილად განსაზღვრულია თბილისი, ვიდრე არ გამოცხადდება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები.**

შეგახსენებთ, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანა საკმაოდ დიდი ვნებათაღელვის შემდეგ მოხდა და დღემდე საზოგადოების დიდი ნაწილი მის გადატანას ეწინააღმდეგება. ყოველ შემთხვევაში, ყველა სოციოლოგიური კვლევისას ასეთი შედეგები ფიქსირდება. ამასთან, **მოსახლეობა ამის მიზეზად დღემდე იმას მიიჩნევს, რომ სააკაშვილს, ერთი მხრივ, ეშინია საპროტესტო ტალღის და იმედოვნებს, რომ ქუთაისში პარლამენტის გადატანით ეს პრობლემა მოგვარდება და, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ თბილისი ხელისუფლებას დიდად არ სწყალობს, ეს თბილისზე გარკვეული შურისძიებაა.**

ასეა თუ ისე, კონსტიტუციაში უკვე წერია, რომ საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელი ქუთაისი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომდევნო საერთო „საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღიდან" უნდა გახდეს.

შესაბამისად, სააკაშვილის იმ განცხადებამ, რომ ის 26 მაისს პარლამენტის სხდომას აუცილებლად ქუთაისში გამართავს, გარკვეული გაუგებრობები გამოიწვია სწორედ იმის გამო, რომ დღეს კანონმდებლობა ამის საშუალებას არ იძლევა.

ამიტომაც, მაშინ ისიც კი ითქვა, რომ „**სიმბოლური სხდომა" გაიმართებაო, მაგრამ საქმეს ვერც ეს შველოდა, რადგან, ჯერ ერთი, კანონმდებლობა არანაირ სიმბოლურ სხდომას არ იცნობს და, მეორეც, ნებისმიერ შემთხვევაში, ქუთაისში სხდომის ჩატარება უკანონო იქნებოდა.**

ამ პრობლემის მოგვარებას კი პარლამენტი რეგლამენტში იმ ცვლილების შეტანით აპირებს, რომლის თანახმად 2012 წლის 1 მაისიდან, პარლამენტის პლენარული სხდომები შეიძლება ჩატარდეს როგორც ქალაქ თბილისში, ისე ქალაქ ქუთაისში.

იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი ამ მოწვევის პარლამენტის სხდომების ქუთაისში გამართვასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ცვლილებით, კონსტიტუციის დარღვევას გამორიცხავს.

როგორც კუბლაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, დღეს მოქმედი კონსტიტუციით, განსაზღვრულია მომავალი პარლამენტის ადგილსამყოფელი და არა მოქმედის.

**„დღეს მოქმედ კონსტიტუციაში განსაზღვრული არ არის პლენარული სხდომების ადგილი,"** — განაცხადა კუბლაშვილმა და განმარტა, რომ ამის გამო, ცვლილებებით კონსტიტუციის დარღვევა, შეუძლებელია.

მისი თქმით, პარლამენტის ქუთაისში გადასვლასთან დაკავშირებით პოლიტიკური განაცხადი არაერთხელ გაკეთდა და ყველასთვის ცხადია, რომ შემდეგი არჩევნების შემდეგ მხოლოდ ქუთაისში იქნება როგორც საკომიტეტო, ასევე პლენარული სხდომები. თუმცა, მისი თქმით, ხელისუფლება ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია, ამ მოწვევის პარლამენტსაც ჰქონდეს შესაძლებლობა, პლენარული სხდომა გაიმართოს როგორც ქუთაისში, ასევე თბილისში.

**„ვფიქრობ, რომ რეგლამენტში ამ ნორმის დაზუსტება შესაბამისობაშია ამ პოლიტიკურ განაცხადთან,"** — განაცხადა კუბლაშვილმა.

„თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელი, ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" წევრი გიორგი ცაგარეიშვილი ამბობს, რომ **„ამ ცვლილების მიღების კანონიერება სხვა საკითხია. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი მისი პოლიტიკურ-მორალური მხარეა".**

მისი თქმით, ამ ცვლილებების ინიციატივით საპროცედურო საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი იმიტომ გამოვიდა, რომ მან **„ერთი ადამიანის ხუშტურის გამო ბრძანება ზემოდან მიიღო."**

**„რამდენიმე დღის წინათ ვიმყოფებოდი დასავლეთ საქართველოში და ვნახე, თუ რა მდგომარეობაშია საქართველოს პარლამენტის მშენებარე შენობა.**

**როგორც ჩანს, იმის გამო, რომ სააკაშვილის ხუშტურები შეასრულონ, გოგორიშვილიც და ბაქრაძეც, თავის უმრავლესობიან-უმცირესობიანად მზად არიან, გაქანდნენ და სხდომა ქუთაისში ჩაატრონ, თუნდაც ამის ჩატარება მშენებარე შენობის სახურავზე მოუწიოთ,"** — ამბობს გიორგი ცაგარეიშვილი და დასძენს, რომ „სააკაშვილი დეპუტაციას ქუთაისში სახურავზე მიერეკება და იქიდან, ალბათ, კარლსონებივით გადმოხედავენ მთელ იმერეთს."

ცაგარეიშვილი სხვა ვერანაირ ახსნას ვერ უძებნის ამ საკანონმდებლო ინიციატივას, რადგან, როგორც განმარტავს, ამ პარლამენტს თბილისში სულ რამდენიმე სხდომის ჩატარებაღა მოუწევს და შემდეგ ისედაც სულ ქუთაისში გადადის და ეს ნორმა ავტომატურად ძალას დაკარგავს, რადგან ამოქმედდება ის საკონსტიტუციო ნორმა, რომლის თანახმად პარლამენტის ადგილად ქუთაისია განსაზღვრული.

**„ამიტომაც ვამბობ, რომ ეს არის მხოლოდ სააკაშვილის ხუშტურებზე სიარული და ეს რამდენად არის პოლიტიკურ-მორალურად გამართლებული, ადვილი წარმოსადგენია,"** — ამბობს ცაგარეიშვილი.

**თეონა ხარაბაძე,**

Presage.tv

კანონმდებლები თუ „ჭრა-კერვის" მოყვარულნი"?

# ახლა რისთვის „აწუხებენ" კონსტიტუციას?

## რატომ მცირდება პარლამენტართა ასაკი 21 წლამდე?

**„აღარ იციან, ვინ ჩაწერონ სიაში და ამიტომ აკეთებენ ამას. სააკაშვილს სჭირდება, რომ საზოგადოებას როგორმე მოაწონოს თავი, სიაში იგივე ხალხის ჩაწერით კი ეს შეუძლებელი იქნება. 25 წლის ზემოთ, როგორც ჩანს, არავინ თანხმდება მათ სიაში ჩაწერაზე და ახლა ამ მეთოდს მიმართეს, რომ ახალგაზრდების გაბრიყვება ადვილად შეძლონ", — ასეთი შეფასებები გააკეთა ოპოზიციამ ხელისუფლების იმ ინიციატივის საპასუხოდ, რომელიც პარლამენტართა ასაკის შემცირებას ითვალისწინებს.**

პარლამენტში უკვე ინიცირებულია სათანადო კანონპროექტი, რომლის თანახმად საქართველოს პარლამენტის წევრად მოქალაქის არჩევა 21 წლის ასაკიდან იქნება შესაძლებელი 25 წლის ნაცვლად.

იმის გამო, რომ პარლამენტართა ასაკი კონსტიტუციით არის განსაზღვრული, ცვლილება კონსტიტუციაში უნდა შევიდეს. სათანადო კანონპროექტი პარლამენტში პარლამენტართა მიერ არის ინიცირებული, რომელსაც ხელს 80 დეპუტატი აწერს.



საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.

პარლამენტის წევრობის ასაკობრივი ცენზის 21 წლამდე დაწევის ინიციატივას მმართველი უმრავლესობა ახალგაზრდობის წახალისების მოტივაციით ხსნის.

სახელისუფლებო უმრავლესობის წარმომადგენლები, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი თვლიან, რომ **„ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ სტიმული და შესაძლებლობა იმისა, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერთონ, ასევე პარლამენტში საკუთარი ქალაქი და რეგიონი წარმოადგინონ".**

დეპუტატები იმასაც ამბობენ, რომ პარლამენტის წევრად 21 წლიდან არჩევის შესაძლებლობა ბევრ ევროპულ სახელმწიფოში არსებობს და არაერთ ქვეყანაში ადამიანს აქვს უფლება, პარლამენტის წევრი 18 წლიდანაც გახდეს.

იურისტი ზაქარია ქუცნაშვილი, რომელიც „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს წევრია, პარლამენტის წევრობის ასაკობრივი ცენზის 21 წლამდე დაწევის ინიციატივას ხელისუფლების მიერ ახალგაზრდების ადვილად მანიპულირებით ხსნის.

**„როგორც ჩანს, ხელისუფლებას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არასრული უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები აწყობს. ამ ინიციატივის მიზანი შეიძლება ორი რამ იყოს. კერძოდ, შესაძლოა, ხელისუფლებას მსგავსი უაზრო და აბსურდული საკითხებით საზოგადოების ყურადღების გადატანა სურს. ან კიდევ, როგორც ჩანს, საარჩევნოდ მთავრობას ზრდასრული და, შესაბამისად, შეგნებული ადამიანების მოზიდვა და მათგან მხარდაჭერის დაფიქსირება უჭირს. ახალგაზრდების მანიპულირება კი ადვილია, მით უმეტეს, როდესაც 21 წლის ახალგაზრდას ძალიან დიდ ძალაუფლებას აძლევ, ის ადვილად დასამორჩილებელი და სამართავია",** — განაცხადა ქუცნაშვილმა.

მისი თქმით, პარლამენტარობა დიდ პასუხისმგებლობას გულისხმობს და ამისთვის საჭიროა, ადამიანს განათლებასთან ერთად გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდეს, რათა გადაწყვეტილებების მიღება შეძლოს.

**„მე 27 წლის ვიყავი, როცა პარლამენტის წევრი გავხდი და მაშინ მივხვდი, რომ ეს ასაკი ძალიან პატარა იყო, რადგან იმ ასაკში ადამიანმა ბევრი რამ არ იცის, 21 წლისამ კი — მით უმეტეს. მაგრამ, როგორც ჩანს, ესენი ამაზე საერთოდ არ ფიქრობენ. ან უარესი, აწყობთ, რომ გამოუცდელი ხალხი ჰყავდეთ და ამას შეგნებულად აკეთებენ, რაც პარლამენტარიზმის განვითარებისთვის და, შესაბამისად, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან ცუდია",** — ამბობს ქუცნაშვილი.

**ხარება თონაძე**

განცხადება

# ვინ და რატომ ლახავს აშშ-ის იმიჯს?

## NDI-ს სკანდალური „კვლევის" შესახებ

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ისტიტუტის (NDI) საქართველოს ოფისის მიერ ლამის კონსპირაციულად ჩატარებული სოციოლოგიური „კვლევა" თავისი სკანდალური შედეგებით სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაციის მცდელობა და მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინასწარ გამიზნული გაყალბებისთვის ნიადაგის მომზადება.

დასანანია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ფაქტობრივად მოსყიდულ ორგანაზაციებს, რომლებიც ამ ტიპის „კვლევებს" ატარებენ, დაემატა ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაცია, როგორიც ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისია და იგი ქართველი საზოგადოების უაღრესად ნეგატიური დამოკიდებულების (პირდაპირ ვიტყვით — დაცინვისძ საგანი ხდება.

შეიძლებოდა, ამ „კვლევისა" და მისი აბსურდული შედეგებისთვის საგანგებო ყურადღება არც მიგვექცია, რომ არა ერთი არსებითი მნიშვნელობის გარემოება — **ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ზემოაღნიშნული „კვლევა" ქართველი ხალხის თვალში სერიოზულ დარტყმას აყენებს ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც მეგობარი და პარტნიორი სახელმწიფოს, იმიჯს**.

სწორედ ეს უნდა გაითვალისწინოს ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ისტიტუტის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელობამ და, კერძოდ, ბ-ნმა ნავარომ, რომლის „თავის მართლების პოლიტიკა" ღიმილისმომგვრელი იქნებოდა, რომ არა ის ზიანი, რომელიც მას და მის მიერ დაქირავებულ კომპანიებს შეუძლიათ მიაყენონ როგორც წინასაარჩევნო კამპანიას, ისე ქართულ-ამერიკულ პარტნიორულ ურთიერთობებსაც.

**„ქართული აკადემია".**

29.III.2012

◉ დღევანდელობა

*არქიტექტურა, შეიძლება ითქვას, სივრცეში „დაჭერილი“ დროა, ქალაქური ცნობიერებისა და მოქალაქეობრივი კულტურის თვალსაჩინოება, რომლის დეფიციტსაც ქართული ხელოვნება არასდროს განიცდიდა. დღევანდელი თბილისი არქიტექტურული „სიმახინჯეებითა“ და გარემოსთან შეუთავსებელი „უცნაური ძეგლებით“ გარე გამოხატულებაა იმისა, თუ როგორ ცხოვრობენ დღეს თბილისში. ადრე რესპუბლიკის მოედანზე თუ დავით აღმაშენებლის ძეგლი იდგა, ახლა მის ადგილს თანამედროვე, ორსაჭიანი ველოსიპედი იკავებს.*

*თანამედროვეობა მისასალმებელია და აუცილებელიც. მაგრამ, ვფიქრობ, ცნობიერებაშიც არ შეიძლება „მეფის“ ველოსიპედით ჩანაცვლება.*

*ფაქტი ერთია და სამწუხარო. დღეს ველოსიპედი იგივე დატვირთვას ატარებს ქართული „საზოგადოების“ აზროვნებაში, რაც თავის დროზე დავით აღმაშენებელს ჰქონდა.*

*ჩვენს საზოგადოებრივ მოვალეობად, ამ ბოლო დროს, მხოლოდ პროტესტების გამოხატვა იქცა. ადრე თუ იმას ვაპროტესტებდით, რომ შუქი არ გვქონდა, ახლა იმის გაპროტესტება გვიწევს, სად რა დაგვიდგან. დამეთანხმებით, პირველ „პროტესტზე“ საგანგაშო მეორეა, რადგან ყველაზე ცუდი, სწორედ რომ, გონების დაბნელებაა.*

*დიახ, „გონების დაბნელება“. აბა სხვას რას შეიძლება მივაწეროთ „კვერცხებზე შემდგარი შლოპანცები“, ან ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის გვერდზე უფრო დიდი მემორიალის წამოჭიმვა.*

*ხელისუფლება კულტურის საშუალებით ქმნის სანახაობებს, რომლებმაც ადამიანებში, წესით, კმაყოფილების გრძნობა უნდა გაამძაფროს, მაგრამ, როგორც ჩანს, პოლიტიკური პროპაგანდა კულტურაში არ მუშაობს.*

*ურბანული და ხუროთმოძღვრული იდეების განხორციელებასთან დაკავშირებული სააკაშვილისეული გატაცება უკვე კულტურულ თვითნებობაში გადაიზარდა. გამართლება კი, ყოველთვის გვაქვს - ჩვენ ხომ ევროპული, ლიბერალური ფასეულობების მატარებელი ქვეყანა ვართ, ხელოვნებაში რატომ არ უნდა გვიზიდავდეს და გვაინტერესებდეს მსგავსი ტენდენციები?*

*საქართველოში არასდროს ყოფილა „ველოკულტურა“ განვითარებული — ველოსიპედისთვის ძეგლი კი იმიტომ მიუძღვნიათ, რომ ჯანსაღი ცხოვრების სიმბოლოა. ნეტა ერთხელ მაინც თუ უფიქრიათ იმაზე, რისი სიმბოლოა „აღმაშენებელი?“ თანამედროვე არქიტექტურა ისე განვითარდა, რომ მერაბ ბერძენიშვილის, „მონარქისტული განწყობილების ძეგლი“ წარსულს ჩააბარა და თავისუფალი, უაზრობამდე დაყვანილი, ათობით „შედევრი“ მოგვცა.*

*მალე ეს გაურკვეველი შინაარსის სკულპტურები „მოსიარულეები“ გახდებიან (იმდენი ხანია დააქვთ წინ და უკან, ისწავლიან), ივლიან ასე დამახინჯებულ ქალაქში და თავი „შედევრები“ ეგონებათ. ქართვლის დედის გვერდით ისეირნებენ მოსიარულე „კვერცხები“ და ასე დაიმკვიდრებენ ადგილს „თანამედროვე“ ადამიანების გვერდით. სასაცილოა უბრალოდ, როგორ შეიძლება ასე მოექცე შენს ქალაქს, თუ ის გიყვარს?*

*არ შეიძლება! არ შეიძლება და ამაში უფრო რომ დავრწმუნდეთ, ცნობილი არქიტექტორის* ***გიგა ბათიაშვილის*** *აზრიც მოვისმინოთ:*

# „დაჩმორებული“ საზოგადოება და მოსიარულე „კვერცხები“

„სულიერად თავისუფალ ეროვნებას შეუძლია ბევრი მშვენიერი და დიადი რამ შექმნას თვით პოლიტიკურ მონობაშიაც“.

გერონტი ქიქოძე.

**— ბატონო გიგა, როგორ ფიქრობთ, უნდა არსებობდეს თუ არა ხელოვნებაში ჩარჩოები და რას გვაძლევს დღეს შემოქმედებითი „უჩარჩოობა?“**

— ხელოვნებაში ჩარჩოები არ არსებობს და ყველა ხელოვანს თამამად შეუძლია, თავისი ემოციებისა და აზრების შესაბამისი ნამუშევარი შექმნას. აუცილებელი აქ ერთი რამაა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქალაქი სხვა ორგანიზმია და ფრთხილად მოპყრობა სჭირდება. გულდასმით უნდა შეირჩეს ადგილი, სადაც ამ უცნაურ ძეგლებსა და მონუმენტებს დადგამენ. ასეთი ტიპის ძეგლები შესაბამის სივრცეში უნდა განთავსდეს. თავისი გზა და ადგილი უნდა იპოვოს. მაგალითად, ველოსიპედი პარკში უნდა იდგეს, ან სკვერში. ამ ველოსიპედს კი, როგორც ძეგლს, ჩემი აზრით არანაირი მხატვრული თუ იდეური ღირებულება არა აქვს. არაფერზეც არ მიანიშნებს და ესთეტიურადაც არ არის ლამაზი.

**— მიუხედავად ამისა, დღეს ის იქ დგას, სადაც აქამდე დავით აღმაშენებლის ძეგლი იდგა.**

— შეიძლება დავით აღმაშენებლის ძეგლი ვიღაცას არ მოსწონს, მაგრამ ეს არის ძეგლი, რომელიც ჩემი ქვეყნის სიმბოლოს წარმოადგენს და სიმბოლოსთან უდიერი მოქცევა მხოლოდ საკუთარი თავის უპატივცემლობას ნიშნავს. ამ ძეგლის მონგრევით საზოგადოებამ ჩვენ თავს არ ვეცით პატივი. ჩავთვალეთ, რომ არარაობა ვართ და ამის წინააღმდეგ არ გამოვედით.

**— რაც შეეხება ადგილის შერჩევას, „მშვიდობის ხიდზე“ რას გვეტყვით არქიტექტურულად თუ არის გამართლებული მისი ადგილმდებარეობა?**

— თავად ხიდი კარგია, რაღაც ღირებულება ნამდვილად აქვს, ოღონდ მისი იმ ადგილას დადგმა დანაშაულია. ესაა ყველაზე ძვირფასი საგანძური, რაც თბილისში გვქონდა, რაც გვირგვინივით ადგას თავს ჩვენს ქალაქს: ნარიყალა და მეტეხი, სიონი და ანჩისხატი, მამა დავითი. ამათმა სათამაშოდ მიქციეს მთელი ჩემი საგანძური, ხელისგულივით მოამწყვდიეს მუჭაში და ყველაფერი შიგ ჩატიეს, დააკნინეს, დაამცირეს და ღირსება აყარეს ჩემს თბილისს. შეიძლებოდა ამის გაკეთება? გასაგებია, რომ იმ ხიდს, რაღაც ღირებულება აქვს. მესმის, მაგრამ იქ არ უნდა დაედგათ, სადაც ამ ყველაფერს ჩრდილავს. იქ უკვე არის ორი ხიდი, რომელიც მშვენივრად ასრულებს თავის დანიშნულებას. ეს დაედგათ სხვაგან, სადაც უკეთესი დანიშნულება ექნებოდა. მაგალითად, ავჭალაში ან რუსთავში, ახლა საბავშვო ქალაქს რომ აშენებენ, იქ მტკვარი იტოტება და ეს ხიდიც მშვენიერი გადაწყვეტილება იქნებოდა. საქმესაც გააკეთებდა და მნიშვნელობასაც შესძენდა ამ ადგილს. ამას თავი დავანებოთ, მივიდნენ და ამ ხიდს გვერდზე კაზინო აუშენეს. საქართველო დღემდე, ჩვენდამი მტრის დანდობას კი არ მოუყვანია, არამედ — ეკლესიასა და ქართულ სულს. ეკლესიამ შეძლო, ხალხში გაეღვივებინა ის თესლი, რომლითაც იბადება ადამიანი და რომლითაც ეხვევა პატრიოტულ სამოსში. სწორედ ამან მოგვიყვანა დღემდე. დღეს კი, იქ, სადაც ანჩისხატი და სიონი გვიდგას, კაზინო აგვიშენეს. მათ გვერდზე ამის გაკეთება თემატურადაც არ ვარგოდა და თუ არქიტექტურულად შევხედავთ, საერთოდ დისონანსში მოდის ყველაფერთან. თურმე მთავარია, ხიდს მოუხდა. კი, ერთადერთი მასთანაა ჰარმონიაში.





**— ხშირად საზოგადოება პროტესტს მსგავს შემთხვევებზე მაშინ გამოხატავს, როცა მშენებლობა დასრულებულია, ძეგლი — გადატანილი, სკულპტურა — დადგმული და ა.შ. იქამდე რატომ არავინ ინტერესდება, ან რატომ იწვევს ეს მათს პროტესტს?**

— ისეთნაირად აკეთებენ, რომ არ შეიძლება არ გააპროტესტო. იგივე ველოსიპედი და „კვერცხებზე“ შემოდგმული „ფლოსტები“ ავიღოთ, ესენი შეიძლებოდა სადმე სკვერში ან ბაღში დაედგათ. არანაირი უარყოფითი რეაქცია მას არ მოჰყვებოდა. პირიქით, ბავშვები აძვრებოდნენ ზედ და გაერთობოდნენ. რაც შეეხება პროტესტს პროექტის განხორციელებამდე, ალბათ, იმიტომ არ იღებენ ხმას, რომ არ არიან ინფორმირებული. პროფესიულ საზოგადოებას და მათ შორის მეც, ინფორმაცია ყურმოკვრით გვაქვს. ისე არაფერი გვინახავს. ყურით კი მოგეხსენებათ, მუსიკის შეფასება შეიძლება. არქიტექტურა უნდა ნახო, ისევე როგორც მხატვრობა. ბოლო წლების განმავლობაში, თუ მიმდინარე პროცესებს დავაკვირდებით, შეიძლება მარტივ დასკვნამდეც მივიდეთ, მათ, ვინც ძალაუფლებით სარგებლობენ, თავი ყველაფრის მცოდნეები ჰგონიათ. საზოგადოების აზრი კი მათთვის მეასეხარისხოვანია. ალბათ, სწორედ ამიტომ შეარქვეს ჩვენს საზოგადოებას „დაჩმორებული.“ ასეა და ეს ერთდროულად საწყენიცაა და სატკენიც. მთელი პრობლემა კი ის არის, რომ ის თაობა, რომელიც ახლა ყალიბდება, ამ სტატუსს მალე ჩვეულებრივ ფორმად მიიღებს.



**— ადრე როგორ ხდებოდა, ვინ ზრუნავდა ქალაქის იერსახეზე?**

— ადრე მსგავს საკითხებს შესაბამისი საბჭო აგვარებდა. ჟიური, — მხატვართა და არქიტექტორთა საბჭო ირჩევდა პროექტს. პარალელურად კი, ცისფერ გალერეაში საზოგადოებას შეეძლო ამ პროექტების გამოფენა ენახა, გამოეხატა საკუთარი შეხედულება, გამოეთქვა აზრი, კარი ყველასთვის ღია იყო და ყველა ერთად განიხილავდა. უხდებოდა ქალაქს თუ არა ძეგლი, როგორი უნდა ყოფილიყო ის. საბოლოო გადაწყვეტილებას ქალაქის მთავარი არქიტექტორი იღებდა. ძეგლს რომ დგამ ქალაქში, მან ხომ იქამდე უნდა იცხოვროს, სანამ ეს ქალაქი იარსებებს.

**— მარჯანიშვილის მოედანზეც უნდა დაიდგას სკულპტურა ან მონუმენტი, როგორც ცნობილია საკონკურსო პროექტების მიღება დასრულდა, თქვენ თუ ნახეთ, რომელიმე მათგანი?**

— არა, არც ვიცოდი, მანდ რამეს თუ დგამდნენ.

**— საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია გმირთა მოედნის მემორიალმა, თქვენ როგორ შეაფასებდით მას?**

— გმირთა მოედნის მემორიალი იმ გმირების შეურაცხყოფაა, რომელთანაც ვერ მიხვალ და ყვავილს ვერ დადებ. მუხლს რომ ვერ მოიდრეკ, რანაირი მემორიალია, არ მესმის! რაღაც ხორცსაკეპ მანქანაშია მოქცეული და იქამდე რომ მიხვიდე, პატრულს უნდა სთხოვო, მოძრაობა გაგიჩეროს, მანქანამ რომ არ გაგიტანოს. იმ გმირებს ხომ ჰყავთ დედები, ცოლები ან შვილები მაინც. თავი დავანებოთ იმას, რაც მე მინდა. მე შემიძლია ჩემი გულისტკივილი გულში ჩავიმარხო და შიგნით ვიტირო.

**სანდრო ყიფშიძე**

◉ ინფორმაცია

## თელავის თეატრის მსახიობები იწყებენ აქციას ლოზუნგით - დუტა, დუქნის მასხარავ, წადი!

**თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველის თანამდებობიდან დუტა სხირტლაძის გათავისუფლების მოთხოვნით, თეატრის მსახიობები და ტექნიკური სამსახურის თანამშრომლები, რამდენიმე დღეში აქციების დაწყებას გეგმავენ.**

**კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ლოზუნგი, რომლითაც მსახიობები საპროტესტო აქციების დაწყებას აპირებენ, თელავის თეატრის ყოფილ სცენარისტს ბაადურ ბალარჯიშვილს ეკუთვნის, რომელიც ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა. დუტას კარიკატურა კი, რომლის თავდაყირა გაკვრასაც თეატრის შესასვლელში გეგმავენ, ბესიკ დუღაშვილს ეკუთვნის.**

**„ერთადერთი გამოსავალი საპროტესტო აქციებია, იქნებ, როგორმე თეატრის გადარჩენა შევძლოთ, ვაპირებთ, რომ თეატრის შესასვლელში დავსხდეთ და ვიდრე მაგას აქედან არ მოაშორებენ, პროტესტი არ შევწყვიტოთ“, — განუცხადეს თეატრის მსახიობებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, რამდენიმე თვეა თელავის სახელმწიფო თეატრში სპექტაკლი არ დაუდგამთ. თეატრს არ მიეწოდება წყალი, ბუნებრივი აირი, გათიშულია ტელეფონი და ინტერნეტი.**

**თელავის თეატრის დასის წევრებსა და დუტა სხირტლაძეს შორის დაპირისპირება უკვე ერთი წელია გრძელდება.**

ინტერპრესი

# ქათმების მორიგი კრიახი და მათი დამცველი კრუხების საგაზაფხულო ქოთქოთი



**ამთავითვე მინდა აღვნიშნო, რომ აღარ ვაპირებდი ამ „ფაქიზ თემაზე“ წერას, რადგანაც ჩავთვალე, რომ საკმარისზე მეტი „ვწერე და ვიკითხე“, მაგრამ, რა ვქნა, რომ იტყვიან, არ ასვენებთ გამჩენი სოდომ-გომორის ცოდვის შვილებს და მათ მცირერიცხოვან „ბალელშჩიკებს“, ამ შემთხვევაში ნინია კაკაბაძის, დიანა ტრაპაიძის და შალვა რამიშვილის სახით, რომლებიც გახდნენ კიდეც, ამ სტატიის შექმნის მთავარი „მუზები“.**

ნინია, უკაცრავად პასუხია და „მეზობლის კურდღელივით“ დროდადრო გამოხტება ხოლმე და აუცილებლად რამე ლიბერასტულ თემას მიახტება. მაგალითები? რამდენიც გნებავთ:

ყველას გვახსოვს, როცა თეა თუთბერიძემ პირველი ღია შეტევა მიიტანა ეკლესიაზე და პირადად მის უწმინდესობაზე, თუ როგორ დამცველად მოევლინა მას ნინია კაკაბაძე, იქამდეც კი, რომ ძნელი გასარკვევი გახდა, ვინ უფრო მეტად იმსახურებდა „ბუდარიხობას“ (როგორც მაშინ ვუწოდე თეა თუთბერიძესძ – ნინია თუ თეა...

ან, აგერ სულ ახლახან, ნინია არ იყო, ურცხვად რომ განაცხადა – **ეკლესიაში იმიტომ არ დავდივარ, რომ იქ ბრაზიანი ხალხი** (თუ მღვდლები, ზუსტად აღარ მახსოვს – **დ. მ.**ძ **შარვლით, ან მოკლე კაბით,უთავსაბურავოდ არ მიშვებენო,** რაც, რა თქმა უნდა, მართლმადიდებლობის სიბნელეს მიაწერა. ჰოდა, მაშინაც დავწერე და ახლაც ვიმეორებ – წადი, შვილო და იმ ტაძრებში იარე, სადაც შარვლითაც შეგიშვებენ, დეკოლტეთიც და უკანალწამოხდილი ქვედაბოლოთი. ჩვენს ეკლესიას, მით უმეტეს ლამის „ცოცხლივ წმინდან“ პატრიარქს კი თავი დაანებე!

სხვათა შორის, ილია მეორემ, მართლაც ლამის წმინდანად შერაცხა, ყველა ნაღდი ქართველისთვის სათაყვანო დიდი ჭაბუა ამირეჯიბი. მიანიჭა რა მას ბერად აღკვეცის პატივი და უწოდა მას, ბერი დავით! – დიდი ჭაბუას ალალი დისწულია ნინია, რომლის გამოხდომებისგან, რომ იტყვიან, სული აქვს გამწარებული მოხუც გენიოსს.

დაახლოებით იგივეს თქმა შემიძლია ნინიას ძმის ირაკლის მიმართაც, ვისაც დღემდე ჩემს მეგობრად ვთვლი, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის მოქალაქეა, მაინც ვერ მოერია ლიბერასტული ვირუსი, რისი დასტურიც, თუნდაც მისი ღია წერილია ბიძინა ივანიშვილის მიმართ.

აქედან გამომდინარე, ნინიაზეა ალბათ უპრიანი – მარტო წრთვნა რას უშველის, თუ ბუნებამც არ უშველა; ანდა, ერთი ხიდან ბარიც გამოითლება და ცულის ტარიცო...

დიანა ტრაპაიძეზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც არ ვიცნობ. ამიტომ პირდაპირ შალვა რამიშვილზე გადავალ და „უნიჭიერესი ჟურნალისტი“, როგორც მას ბიძინა ივანიშვილმა უწოდა, სინამდვილეში ვინ არის და რაშია მართლაც უნიჭიერესი, ერთად გავარკვიოთ, მკითხველო.

ჯერ იყო მისი რადიო 105, საიდანაც პირდაპირ ეთერში გაჰყვიროდა: **„მე მინდა, რომ ჩემმა ცოლმა ჩემს მეგობარს მისცეეეს!“** რა იყო ეს? პერფორმანსი, თუ ეპატაჟის დამკვიდრების პირველი მცდელობა ქართულ ჟურნალისტიკაში? არ ვიცი, მაგრამ, სულო ცოდვილო, ერთი კი გავიფიქრე – ორი-სამი დღით ხომ არ ჩავეწერო შალიკოს მეგობრებში-მეთქი?..

მერე იყო მართლაც ნიჭიერად გაკეთებული „დარდუბალა“, რომელთანაც ახლოსაც ვერ მივა დღევანდელი „ბანანის რესპუბლიკა“. რაც იმის ვარაუდის უფლებას გვაძლევს, რომ იმ „დარდუბალას“ მთავარი შემოქმედი, ზვიო და სხვა სცენარისტები იყვნენ.

შემდეგ ტელე-202, საიდანაც ნელ-ნელა, როგორც ამბობენ, მერკანტილური ინტერესების გამო, გააძევა იგივე ზვიო, მიშა მშვილდაძე და სხვა მრავალი და მარტო „ქაჩავდა“ ყველაფერს, მაგრამ...

**უნიჭო გამომძალველი!** დიახ, უნიჭო, რადგანაც კობა ბექაურს მაყუთი ისე ვერ შეაწერა, რომ იმ „ჩობან- გოიმს“ ფარული კამერით არ ჩაეწერა.

მისი პატიმრობის ამბავი დაწვრილებით ვიცი, რადგან შალიკო ჩემს სიყრმის მეგობართან ერთ საკანში ცხოვრობდა. კაცურად იჯდაო, ირწმუნებოდა ჩემი მეგობარი, ვისიც არა თუ მჯერა, არამედ ის კაცი შეუვალი ავტორიტეტიც გახლავთ იმ სამყაროსი. მერე ხშირად ვაღადავებდი – მაგის „კაი ბიჭობა“ როგორ „თოხლე“, როგორ ვერ გაშიფრე, რომ მარტივი „პრისპასობლენეცი“ ყოფილა-მეთქი?

**თუმცა შალვას იმის ნიჭი ნამდვილად აქვს რომ სადაც მივა, იქაური ქუდი დაიხუროს.** ქუდი კი იმდენი აქვს, რომ წადი და ეძიე, გაუგებ რამეს? ანუ,იქაც კი არ დაიწყებდა პედერასტებზე ხელის დაფარება-აფარებას...

მისი გათავისუფლების შემდეგი ნაბიჯიც, მისივე „მრწამსის“ შესაფერისი იყო, როცა სკანდალურად ცნობილი შოუს, ე.წ. „სიმართლის დროის“ პირველ წამყვანად გაიჩითა „იმედზე“ და ახლაც იქ იქნებოდა, მცირე ხანში რომ არ გაეპანღურებინათ იმ გარყვნილების ბუდიდან.

თუმცა სულ მალე უკვე „მაესტროში“ მოგვევლინა „სუბიექტური აზრის“ წამყვანად და პარალელურად ტურასავით, არა, რუსულად უფრო კარგად ჟღერს, „შაკალივით“ დაძრწოდა „აკრედიტაციის გარეშე“ და ყოველივე ქართულის, მართლმადიდებლურის და ტრადიციულის მიმართ უხვი ცინიზმის თანხლებით.

რომელი ერთი გავიხსენო? მისი ქირქილი ეროვნული ფორუმის მარშის მიმართ, თუ ცინიკური რეპორტაჟები „სახალხო კრების“ ბოლო, 26 მაისის წინარე აქციებიდან? თუმცა მისი ბიძინამდელი ქილიკ-ცინიზმის აპოგეა მაინც საპატრიარქოს მიმდებარე ტერიტორიიდან გაკეთებული „აკრედიტაციის გარეშე“ იყო, როდესაც ცნობილი კანონის მიღების შემდეგ, რომლის ძალითაც საქართველოს დეეკლესია უფლებრივად, საეჭვო სექტებს გაუთანაბრდა და ამ ამბით დაზაფრული მორწმუნე მრევლი, სინოდის განჩინებას ელოდებოდა, როგორც იტყვიან, „შეუკიკინა“ მიკროფონის პირში შეჩეჩებით და ფარისევლური, ფლიდი ღიმილით – **რატომ ხართ აქ? რას აპროტესტებთ?** და ა.შ. იქამდე, რომ კინაღამ ალიყური გამოსტყუა მართლმადიდებელ ბიჭებს.

არადა ახი იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ შალვა რამიშვილი ის კაცია, ვინც ერთ-ერთ ინტერვიუში, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ მიუცია ჟურნალ „სარკისთვის“, კითხვაზე, ღმერთი გწამთ? უპასუხა **ღმერთზე მაშინ ვიფიქრებ, როდესაც ერექცია აღარ მექნებაო...**

ახლა, იგივე საქმეს ბიძინას პატრონატით აგრძელებს და სასაცილო იყო მისგან, ამას წინად ქვიშხეთში, როცა პოლიციის შენობაში მოკლულის სახლში არ უშვებდნენ, როგორ არცხვენდა იქაურებს **„ქართველები (!!!) არა ხართ? პანაშვიდზე ჩამოვედი და როგორ არ მიშვებთო“.** მაგის ქართველობის, ეროვნულობის მიმართ მისი ცინიკური დამოკიდებულება ხომ საყოველთაოდაა ცნობილი...

ან კიდევ ბასილ მკალავიშვილთან მისი „აკრედიტაციის გარეშე“ რად ღირს? ამის მთავარი მიზანი გადაცემის ბოლოს გახდა ცხადი. როცა ამ განკვეთილმა მღვდელმა სულ ნარკომანები, ლოთები და მამათმავლები უძახა პატრიარქის გარემოცვის უმრავლესობას. აი ეს, ანუ, **ეკლესიის, პირადად პატრიარქის დისკრედიტაციის მცდელობა იყო მთავარი მიზანი, თორემ ვინ დაიჯერებს, რომ რამიშვილს გლდანის ეკლესია ადარდებს, რომლის ტარანით შენგრევასაც სიხარულით შეხვდა თავის დროზე?**

ერთი სიტყვით, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შალვა რამიშვილი არის ერთი დიდი „უ“. ანუ, **უნიჭიერესი** ცინიკოსი, **უსამშობლოო** მანქურთი, **უნამუსო** ფარისეველი, **უპრინციპო** მეძროვე, **ულმერთო** ხლისტი, **უმეგობრო** კომედიანტი და ა.შ. დანარჩენი „უები“ თქვენ დაამატეთ.

თუმცა არა, ღმერთი ერექციით და მის გარეშეც წამს, რადგან შალვას ღმერთი მამონაა და მწვანე დოლარი – მოციქული მისი...

აი, ამისთანა ხალხმა „გაუჩალიჩა“ ნანა კაკაბაძეს ის, რაც უნდოდათ – ჯერ ნინიამ უწოდა ფაშისტი ნანა კაკაბაძეს და ბოდიშის მოხდა მოითხოვა მისგან, მეორე დღეს კი იგივე „სუბიექტურ აზრში“ ლამის „გატისკეს“ საწყალი ნანა შალვა რამიშვილმა და დიანა ტრაპაიძემ ტანდემში.

არადა, რისთვის? იმისთვის რომ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში უთქვამს – **ჰომოსექსუალიზმისთვის ალბათ არ უნდა დაიჭირონ, მაგრამ პედერასტობის პროპაგანდაც დაუშვებელიაო...**

აი, ეს „ალბათ“ არ აპატიეს, ალბათ ხომ დაეჭვებას ნიშნავს და, ეს როგორ გაბედეო. იგივეს აწვებოდა გადაცემაში სპეციალურად ჩართული საზოგადოება – „გენდერული თანასწორობისა და „ლგბტ“ ადამიანის უფლებებისთვის“, ვინმე მაგდა კალანდაძე, რომელმაც აშკარად ვერ გაქაჩა ნანასთან, რამაც შალვას რეპლიკა გამოიწვია – „ცოტა მკაცრად, „ლგბტ“ აგებსო“. ანუ, აშკარა გახადა გადაცემის წამყვანთა წინასწარ დასახული მიზანი – **რადაც უნდა დასჯდომოდათ, ნანა კაკაბაძე ჩაეწიხლათ.**

თვით „დიდი“ რონალდ რეიგანის ავტორიტეტმაც არ გაჭრა – ჩემი ჰომოფობია და ფაშისტობა რა სახსენებელია, აბა რონალდს ეზიზღებოდა პედარასტები თუ ეზიზღებოდაო. მაგრამ შალიკომ, იმის მერე ამერიკა წინ წავიდა და დღეს ვერავინ გაბედავს რეიგანის ენით საუბარსო.

**– საზოგადოებრივი გამოკითხვა ჩაატარეთ თქვენი ტელევიზიით და ნახავთ, რომ უმრავლესობა ჩემსავით ფიქრობსო,** – უკანასკნელ ხავსს მოეჭიდა ნანა, მაგრამ...

– რას ამბობო, შალვამ – **„ჩვენი საზოგადოება დაავადებულია კომპლექსით, რომ ჰომოსექსუალები, მასონები გვიტევენ. შეთქმულების თეორიებისადმი მიდრეკილ საზოგადოებაში კვლევებს რომ ჩაატარებ, ვერ მიიღებ რეალურ შედეგსო“.**

გაიგეთ, ხალხო, დააავადებული და დაკომპლექსებულები გვიწოდა ამ მართლა ავადმყოფმა, ამან...

მოკლედ ლამის ყველაფერი უკან წაალებინეს ნანა კაკაბაძეს და ბოლოს ისეთი აბსურდი ათქმევინეს, რომ... ჩემთვის ჰომოსექსუალიზმია მიუღებელი, თორემ თვითონ ჰომოსექსუალებთან პრობლემა არა მაქვსო და ლამის დედა დააფიცეს, რომ პედერასტებს არ გარიყავს და იმეგობრებს კიდეც მათთან. რა თქმა უნდა, ცოტას ვუტრირებ, ჩემო ნანა, მაგრამ **ნუ გეწყინება და, შენს სათქმელს, რაც ვერ, ან არ თქვი, მე ვიტყვი და არა მხოლოდ შალიკოს გასაგონად.**

პედერასტია ბერძნულად ბიჭების სიყვარულს ნიშნავს! ეს მოკლედ და უფრო ვრცლად კი – „სქესობრივი გარყვნილება – სქესობრივი ურთიერთობა მამაკაცებს შორის; მამათმავლობა“, ასე განმარტავს ამ სიტყვას 1964 წელს, ანუ, საბჭოური (!!!ძ გამოცემის უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

რატომ 3 ძახილის ნიშანი? იმიტომ, რომ მიუხედავად დიამეტრალურად დაპირისპირებული იდეოლოგიებისა, საბჭოთა ლექსიკონის იდენტური განმარტება იქნებოდა იმავე პერიოდის ამერიკულ თუ დასავლეთევროპულ ლექსიკონებშიც, რადგან ეს ჯერ კიდევ ის დრო იყო, როდესაც დასავლეთშიც, მიუხედავად „თავისუფალი სექსის“ ჰიპური ფილოსოფიის პირველი ნაბიჯებისა, საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა, ჯერ კიდევ ტრადიციულ-კონსერვატორული იყო. ანუ, „განათლებული“ დასავლეთისთვისაც ისევე მიუღებელი იყო პედერასტობა, როგორც ჩვენთვის, „გაუნათლებელი“ საბჭოელებისთვის – ერთსქესიან ქორწინებებზე, ხომ ლაპარაკიც არ იყო...

ახლა? თუ ზუსტად მახსოვს, 1990 წელს, გაერომ გაუქმა ავადმყოფების სტატუსი, არა მხოლოდ გეებს, არამედ ყველა ე.წ. „ლგბტ“-ს. ანუ ლესბოსელ-გეი-ბისექსუალტრანსექსუალებს. ეს ისე, ამ აბრევიატურის გაშიფვრა იმათთვის, ვინც არ იცოდა. ქვემოთ კი, სადაც დამჭირდება ყველას მიმართ ჩვენებურად, თბილისურად, პედერასტებს ვიხმარ, რადგანაც მათთვის დიდი პატივი იქნება, ცალ-ცალკე დასეგმენტება.

პრეზიდენტმა ობამამ შარშან საზეიმო ვითარებაში გააუქმა კანონი, რომელიც აშშ-ის ჯარში პედერასტების მსახურებას კრძალავდა. თან ამერიკის წინაშე პედერასტების ისტორიულ დამსახურებაზე ისაუბრა. უფრო მეტიც, ყოველი წლის ივნისი მათ თვედ გამოაცხადა და მსოფლიო პედერასტებს ივნისში გეიაღლუმების ჩატარებაზე „კურთხევა“ მისცა.

**ჰოდა, მოდი და ნუ დაეთანხმები შალვას – რეიგანის შემდეგ აშკარაა „ამერიკის წინსვლა“. რაც შეეხება ქართველი „ლგბტ“-ების დამცველ მაგდა კალანდაძეს – პედერასტები ეგეთები იბადებიან და რას ერჩითო? პედოფილებიც ეგეთები იბადებიან და შემხვედრი წინადადებით შემოვდივარ – ნურც მაგათ დაიჭერენ, იმ აბრევიატურას ბოლოში ერთი „პ“ დავამატოთ და „ლგბტპ“ გამოვა. პედოფილების უფლებებიც დავიცვათ, რადგან თუ წინსვლაა წინსვლა იყოს, ბარემ „დამკაშიც გავიდეთ“, თორემ რას იტყვის ევროპა?**

რაც შეეხება იმას, რომ ნანა კაკაბაძემ პედერასტობის პროპაგანდის ვერც ერთი ფაქტი ვერ თუ არ დაასახელა, რასაც დაჟინებით ითხოვდა შალვა, მე დავასახელებ: იმედის „ნანუკას შოუ“, „რუსთავი-2“-ის „პროფილი“, (იგივე, აწ დახურული „სიმართლის დრო“ რომლის „ოქროს ფონდიდან“, ყოველკვირა ატრიალებენ პედარასტულ ნიმუშებს.ძ რა, ერთხელ და ორჯერ გვინახავს იქ, ცნობილი პედერასტები? მაგრამ ყველას მაინც „მზე“ უჯობკრავს, სადაც ცნობილი „ქათამი“ გია ჯაჯანიძე, მგონი წამყვანად მუშაობს უკვე. ამას წინათ შოუ „მზესუმზირებში“, არც მეტი არც ნაკლები, „გარშოკი“ ეხურა თავზე. პირდაპირ კი, ისეთი ნაზი და ჰაეროვანი ყმაწვილი ეჯდა და ისეთი სექსუალური ვუალი ეკეთა, მისი სინაზე მერი შერვაშიძესაც კი (შემინდოს მისმა ლამაზმა სულმაძ შეშურდებოდა.

ან, რა, ე.წ. საზოგადოებრივ არხზე, ერეკლე დეისაძის გამოჩენა, მისთვის და მეორე „დიდი მწერლის“, ზაზა ბურჭულაძისთვის პრემიის მინიჭება, პედერასტობის პროპაგანდა თუ არა, მაშ რა ჯანდაბაა? რადგანაც პედერასტობა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, ვინ მამალია და ვინ დედალი, ვინ ვის ქვეშ არის, ან ზევით და ა.შ. ანუ ნორმალური სექსუალური ორიენტაციის ადამიანიც შეიძლება სულით პედერასტი, არაკაცი იყოს...

მამაჩემის და ჩემი თაობის თბილისში, თავად ქალაქი, ქუჩა, ყოველგვარი „ენჯეოების“ გარეშე არეგულირებდა ამ პრობლემას. ანუ, **პედერასტებს, მხოლოდ იმიტომ, რომ პედერასტები იყვნენ, არავინ ერჩოდა.** მეც ასე ვარ გაზრდილი. ანუ ასემც უქნიათ, სარი უთხრიათ, მე ეგ არ ვიდარდო.

**მაგრამ, ის რაც შალვას ღიმილს ჰგვრის, ჩემთვის მკაცრი რეალობაა** – დიახ, სწორედ მსოფლიო მასონები ებრძვიან ყოველივე ეროვნულს, ტრადიციულს და არა მხოლოდ საქართველოში. მათი ბრძოლის ერთ-ერთი იარაღი კი, დიახაც, პედერასტობის პროპაგანდაა. ამ მურდალი ხალხის შეგზავნით უთხრიან ძირს მართლმადიდებლობას, პირადად ილია მეორეს უდიდეს ავტორიტეტს და რა გინდათ, რამიშვილებო, ნინიებო და თუთბერიძეებო, ეს ხალხი უნდა მიყვარდეს?

სწორედ ამას მოითხოვენ ჩვენგან, „დაკომპლექსებულ-დაავადებული“ საზოგადოებისგან, პედერასტების უფლებების დამცველი კრუხები. რადგანაც მათ მიმართ მხოლოდ „სარიც უკვრიათ“ პოლიტიკა, ანუ, საზოგადოების მხრიდან იგნორირება, მათ „საშინაო საქმეებში“ ჩაურევლობა აღარ აკმაყოფილებთ. უნდა მივესალმოთ, ტაშიც დავუკრათ, გვერდშიც უნდა დავისვათ, ეს ღვთის გარეგანი ხალხი, თორემ, არც ნატოში მიგვიღებენ და არც ევროკავშირში!

**არა ბატონო! როგორც იტყვიან, თქვენ თქვენი წრე და ჩვენ – ჩვენი. რადგანაც, თუ პედერასტების ლეგიტიმური უფლება კურტუმოების ქნევაა, მეცა მაქვს იმის უფლება, რომ ვინც მინდა მძულდეს და ვინც მინდა მიყვარდეს.**

**მე მიყვარს სამშობლო, ჩვენი პატრიარქი, წინაპართა საფლავები, შვილები, შვილიშვილები, მეგობრები და ა.შ.**

**აქედან გამომდინარე კი, პედერასტებო, მძულხართ!!!**

**და როგორც იტყვიან. „მირტყით კრუგები“ მაგათმა „ბალელშჩიკებმა“ და სადაც გინდათ იქ მიჩივლეთ“.**

**დავით მხეიძე**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №188

# გრიგოლ რობაქიძის „ახლობელი და უცხო“

ფატალურობა, სიბრძნე და „amor fati“ (ბედისწერის სიყვარული)... ამ ემოციურ და სააზროვნო ველთან გრიგოლ რობაქიძის და ავსტრიელი გრაფინიას გიტა ფონ შტრახვიტცის თითქმის ერთგვაროვანი დამოკიდებულება ორივეს (ავტორსაც და ადრესატსაც) მწერლის უკვე დაწერილი თუ დაუწერელი ტექსტების განუყოფელ პერსონაჟებად აქცევს...

ლიტერატურის ისტორიისთვის ცნობილი თემა, როცა ავტორი თავადაც ხდება საკუთარი ნაწარმოების პერსონაჟი ასეთი დისკურსის წინაშეც გვაყენებს: თუ მკითხველს სურს „მწერლის პიროვნება მისი შემოქმედების მიხედვით წარმოიდგინოს, უცილობლად გამოგონილ პერსონაჟს ხატავს“ (პოლ ვალერი).

**რეალური და ირეალური გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ძნელად გასამიჯნია, მაგრამ ის ფაქტი, რომ მას ჩვეულებრივი ყოფიერების წიაღიდან არც ერთი (თუნდაც ყველაზე ახლობელი) ქალისთვის არ მიუნიჭებია ამგვარი უნივერსალური მნიშვნელობა (სატრფო, ცოლი, და, მზე, წყარო, ღვთიური მეგობარი...) და არც ერთი ქალისთვის გაგზავნილი წერილების ზუსტი ასლები (ჩასწორებებით, ავტოგრაფებით) საკუთარ არქივში არ შეუნახავს, თავისებურ ახსნასაც გულისხმობს, თუნდაც აუხსნელობის გამო. არქივში ამ წერილების (ავტორის სურვილით), სამუდამო; დამკვიდრება სამომავლო გზავნილიცაა ლიტერატურის ისტორიკოსებისთვის, რათა ავსტრიელი გრაფინია, ახალგაზრდა მხატვარი გიტა ფონ შტრახვიტცი რობაქიძის ბიოგრაფიის განუყოფელ ნაწილად სამუდამოდ დარჩეს.**

„ჩვენი სიყვარული პიროვნულობას სცილდება. შენ იყავი სრულიად განსხეულებული სიყვარული“... – რობაქიძის ამ თუ სხვა ფრაზებს, შტრახვიტცისადმი გაგზავნილ ტექსტებს ძნელია სასიყვარულო ბარათები ეწოდოს. ზეაწეული ტონი, უჩვეულო მგრძნობიარობა კი პირიქით ჯავშნისებურ დისტანციას ქმნის. აქ ყველაზე მგრძნობიარე ეპითეტებიც პირდაპირი მნიშვნელობით არ განიცდება. ეს არ არის საყვარელ ქალთან განაპირებული საუბრები, არამედ თითქოს კიდევ მრავალი ადრესატია ნაგულისხმევი, რომელთაც ამ ენით, ამ ფორმით ნათქვამი შეუძლათ ისე გაიგონ, რომ საკუთარ აღმოჩენად ჩათვალონ. ამგვარი სინათლე საგნებზე დაცემის შემდეგ ხდება მისაწვდომი. ჩანს, ვგრძნობთ ანუ ის უკვე ყველასია.

რობაქიძისთვის ავსტრიელ ქალთან შეხვედრა **„ბედისწერის ბეჭედს ატარებს“**, თუმცა, მისივე აზრით, **„ბედისწერა შემოქმედებით დაიძლევა“. ამიტომ მკითხველისთვის მნიშვნელოვანი ხდება არა ის, თუ „ვინ არის ეს ქალი“, არამედ რისი თქმა სურდა რობაქიძეს არა ოდენ სიტყვებით, არამედ რა კუთხით მოინდომა მწერალმა გაენათებინა მკითხველისთვის ეს ურთიერთობა, რისი ჩვენება თუ არჩვენება გადაწყვიტა ჩვენთვის.**

**„რობაქიძე ფლობდა რაღაცას, რასაც დღეს იშვიათად იპოვით – სიბრძნეს. სიბრძნე სიყვარულსა და წრფელ გულს გულისხმობს...“** – მწერლის გარდაცვალებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ წერს გიტა ფონ შტრახვიტცი შვეიცარიელ დოქტორს არმინ ზიგრისტს და მის შეკითხვაზე: რა შეგიძლიათ თქვათ რობაქიძის შესახებო, ოფიციალური თავაზიანობით პასუხობს: ვერაფერს გეტყვით თქვენთვის განსაკუთრებით საინტერესოსო...

სავარაუდოა, რომ შტრახვიტცმა იცის იმ წლებში (1962-1963 წ.წ.) გახმაურებული სამართლებრივი დავის დეტალები შვეიცარიის ემიგრანტულ მანსარდებზე გარდაცვლილი ქართველი მწერლის ქართველოსთვის ჯერჯერობით დახურულია (მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია მოპოვებული), ჩვენ არ ვიცნობთ გიტა შტრახვიტცის საპასუხო წერილებს ქართველი მწერლისადმი. ვიცით მხოლოდ იმ ბარათების ფრაგმენტები, ციტირებული რობაქიძის წერილებში.

* * *

**„რა არის სიყვარული? სიყვარული თავისებური რწმენაა. რწმენა მეტია, ვიდრე შეცნობა,** – განმარტავს თავადი გიორგი, რობაქიძის რომანის პერსონაჟი – დავინახე და შევიცანი მე საგანი, მაგრამ იგი მაინც რჩება ჩემთვის ნივთად. ვიწამე მე რაღაც და იგი უკვე აღარ არის ჩემთვის უცხო. სხვაა. მიჯნური არის განუმეორებელი სახე, რომელშიც გამიჯნურებული თავის თავს პოულობს. არავის, მთელ დედამიწაზე, არა აქვს უნარი გამოხატოს ის სინამდვილე, რომელიც შეყვარებულთა შორის იქმნება. არადა, იგი ქმედითად არსებობს. სხვისთვის იგი არ არის, მაგრამ შინაგანად დანახული იგი ყველაზე ნამდვილ რეალობად მოჩანს...“

რობაქიძე სიყვარულში ზებუნებრივი თხოვნის სიტყვიერი ცერემონია, ადრესატებისთვის, გრაფინია და გრაფ ფერალდ შტრახვიტცებისთვის, რა თქმა უნდა, მიუღებლად გაუგებარი დარჩებოდა.

***„ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, გიტას და მე... თვით სიკვდილიც კი ვერ დაგვაშორებს, რადგან სამუდამოდ ვართ მისტიკურად დაქორწინებულნი. ამით აიხსნება ის, რომ არც თუ იშვიათად თავს და-ძმანივით ვგრძნობთ. ვაღიარებ, რომ ნებისმიერი მესამე ადამიანი – რადგანაც გიტასთვის ძალიან ხნიერი ვარ – ჩვენს სიყვარულს არაბუნებრივად მიიჩნევს, მაგრამ გიტასეული სიზმრით, მე მას, როგორც სიყვარულს, უძველეს დროში შევხვდი. მე კი ჩემი თავი სამუდამოდ ვიპოვე მის სიყვარულში. ასე რომ ჩვენი სიყვარული უფრო ზეგრძნობადზეა დაფუძნებული, ვიდრე გრძნობადზე“...***

* * *

რობაქიძის რამდენიმე ბიოგრაფიული შტრიხი, მისი ნაცნობების თვალით დანახული თუ მისივე პირად ბარათებში ჩანიშნული:

**გრიგოლ რობაქიძე: „ბედისწერა ნამდვილი ძალაა, ყველაფერი ბედისწერის ბეჭედს ატარებს“.**

**გიტა ფონ შტრახვიტცი: „მე ყოველთვის მჯეროდა შემთხვევების ფატალურობის. თითქოს ეს ყველაფერი უკვე მოხდა.“**



გრიგოლ რობაქიძის არქივის ირგვლივ. ბერნის იუსტიციისა და პოლიციის დეპარტამენტმა ექსპერტად და საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად ჟენევაში დოქტორი არმინ ზიგრისტი მიავლინა.

ზიგრისტი თვლიდა, რომ ამ უცხოელი „მითიური მწერლის“ შემოქმედების „ჰუმანიტარული მნიშვნელობა ჯერ კიდევ შეუსწავლელი იყო“ და მიუხედავად მაკომპრომეტირებელი წიგნებისა ჰიტლერსა და მუსოლინიზე, და იმ იძულებით იზოლაციაზე, რომელშიც რობაქიძე იმყოფებოდა, მისი, როგორც მწერლის, მნიშვნელობა და რენომე ხელშეუხებელი რჩებოდა და ასეც უნდა დარჩენილიყო. ზიგრისტი არქივის ინვენტარიზაციის მოთხოვნით, სასამართლო პროცესებში ჩაება და წამყვანი ფიგურა გახდა. მან მოახერხა დაპირისპირებოდა ქართულ მხარეს (ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს) და რობაქიძის არქივი შვეიცარიის სახელმწიფოს სამუდამო საკუთრებად აქცია. მოგვიანებით, ბატონი ზიგრისტის გარდაცვალების შემდეგ, უცნაური გარემოება გაირკვა, რომ ნაწილი გრიგოლ რობაქიძის არქივისა, მათ შორის, წერილები გიტა ფონ შტრახვიტცისადმი, რატომღაც სწორედ ამ შვეიცარიელი დოქტორის პირად არქივში იყო შენახული.

**– ვერაფერს გეტყვითო განსაკუთრებით საინტერესოს, – ეს პასუხი შესაძლოა ზიგრისტის იმჟამინდელი ინტერესების არეალს გულისხმობს, ხოლო „ცოდნა“, რომელიც გიტა შტრახვიტცს რობაქიძეზე გააჩნდა, არა მარტო სამართლებრივ, არამედ თუნდაც, ლიტერატურულ ინტერესებზეც მაღალი გახლდათ და როგორც ალბათ გრაფინია თვლიდა, სხვებისთვის მიუწვდომელი.**

ვინაიდან შვეიცარიის არქივი სარივს არა მარტო ეძებს, უბრალოდ ხედავს. აქ, როგორც ღია მოცემულობა, ჩანს მისთვის სათაყვანო „დიდი ვაიმარელის“, გოეთეს გავლენა: მისტიკაში გადატანილი სიყვარულის ასაკობრივად ძალიან განსხვავებული ობიექტიც. იქნებ მართლაც კოსმოლოგიურ ლოცვად შეიძლება წავიკითხოთ რობაქიძის მიმართვა საყვარელი ქალისადმი (გიტა შტრახვიტცისადმი): **„საყვარელო, ღვთიურო მეგობარო, დაო“...**

გიტას მშობლებისადმი გასაგზავნი ბარათი, ქალიშვილის ხე-

ნინო დადიანი (84 წლის პარიზელი ემიგრანტი): „გრიგოლმა ყველას აგვიარა გვერდი, არად მიგვიღო და აღიარა უკანონო ცოლის დისწული. მუდამ უკუღმართი იყო. პირველი ცოლი რუსი, მეორე რუსი. მემკვიდრედ გაიხადა რუსი... ჰქონოდა მაინც ფული, ნივთი, მამული?! ანდერძი ცოლის დისშვილზე დაუწერია. ქართველი შემოქმედების მემკვიდრედ გაიხადა რუსი და ისეთი რუსი, რომელსაც გუშინაც ეთქვა: „პრიზირაიუ გრუზინ.“ განსვენებული გრიგოლი სიყმაწვილიდან უკუღმართი იყო და ისე დაამთავრა მისი დღეები, არ უვლია სწორ გზაზე. ვერ მოვსულვარ გონს, ისე მეოცა გრიგოლის საქციელი“...

გრიგოლ რობაქიძე ბერლინელი მეგობრის და მეცენატის ვერნერ ზომბარტის ვაჟს ნიკოლაუ ზომბარტს: ***„ძვირფასო ნიკოლაუს, ჩემს ცოლს, რომელმაც ომის წლებში ბევრი გადაიტანა, სისხლი ჩაექცა, დამბლა დაეცა. ერთი მხარე და ენა წაერთვა. ცოლის ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, მე თითქმის აუტანელ მდგომარეობაში ჩავვარდი ადამიანური თვალსაზრისით. მე, რომელიც ჩემს სიცოცხლეში არ ვიცნობდი ადამის შეჩვენებას – ფიზიკურ შრომას, ახლა გავუსინჯე გემო მთელი სისავსით – ალბათ წონასწორობის გულისათვის. მე დავდივარ საყიდლებზე. მე ავადმყოფსაც უნდა გავუგო ყველაფერი – ესე იგი გამოვიცნო, რა გაივლო ფიქრად. მე იგი უნდა გავართო. მე ზოგჯერ მასაჟისტიც უნდა შევცვალო. უფრო ხშირად კი ექთანი. ვმუშაობ და მძინავს სამზარეულოში. იქ დგას ჩემი საბეჭდი მანქანა და ვიპარავ დროს, რამდენიმე სტრიქონი რომ დავბეჭდო“...***

იმავე ადრესატს, რამდენიმე თვის შემდეგ: ***„ძვირფასო ნიკოლაუს, მადლობთ სამძიმრის ბარათისთვის, რომელიც 27 თებერვალს მივიღე, ერთი კვირის შემდეგ ელენეს გარდაცვალებიდან. ახლა ამასაც გავიგებ, როგორია 70 წლის მარტოხელა ადამიანის ცხოვრება.***

*ეკოლ-მედსინის სანაპირო, ჟენევა, გრიგოლ რობაქიძე“.*

ნიკოლაუს ზომბარტი, რობაქიძის უაღრესად საინტერესო ბერლინური პორტრეტის ავტორი, თავის მოგონებებში მათი ოჯახის მეგობრის – „კავკასიელი ეგზოტის“ პირადი ცხოვრების ნიუანსების გაგებას ცდილობს: ***„ბერლინში რობაქიძეს მუდამ მარტო ვხედავდი, მაგრამ მას ჰყავდა ცოლი, ბევრად უმცროსი, სანდომიანი, ცოტა ვულგარულიც. ქალი რუსი იყო. ამბობდნენ, რომ რობაქიძე ამ ქალთან „იოსების ქორწინებაში“ იმყოფებოდა. იოსების ქორწინება ნიშნავს ისეთ ცოლქმრობას, როცა პარტნიორები, შეიძლება რელიგიური მოსაზრებებით, უარს ამბობენ სქესობრივ კავშირზე. ბავშვობიდანვე მაინტერესებდა, რობაქიძის შემთხვევაში, ეს როგორ უნდა გამეგო, მაგრამ არც ერთი ახსნა ამ ფაქტისა არ მაკმაყოფილებდა. არა მგონია, ეს ემყარებოდა ხორციელების პრინციპულ უარყოფას. რობაქიძე არ ყოფილა პურიტანელი, არც ბუდისტი. იგი თავისი არსით ეროტიკოსი იყო. აქ რაღაც სხვა ამბავი უნდა ყოფილიყო. არა უარის თქმა სექსზე, არამედ სექსის მოქმედების რაფინირებული სახეობა. მას სქესობრიობის ჩაკვლა კი არ უნდოდა, არამედ გასპეტაკება. სჯეროდა, რომ განუხორციელებელი სქესობრივი აქტი მამაკაცის ოკულტურ ძალებს ზრდიდა. თავშეკავებაში რობაქიძე მამაკაცურ თვითდამკვიდრებას ხედავდა.“***

ამგვარი თვითდისციპლინა – საკუთარი თავის ბოლომდე ფლობა ფაქტობრივად რობაქიძის შემოქმედების ერთ-ერთი ლაიტმოტივია.

კავკასიური ნოველებიდან: „ერთი სწორფერი გიყვარდეს და სხვა ცოლი გყავდეს, – თქვა მან, როცა შემატყო გაკვირვება. გავიგე, რომ ხევსურისთვის სექსი და სიყვარული სხვადასხვა რამაა...

„ღვთიურ არს სიყვარულ, ხორციელ იგემებ – მოჰკლავ მას, იწვოდ მხოლოდ“... – დააბოლავა მან საიდუმლოდ. მეტი არა უთქვამს რა... გამოვეთხოვე ბრძენ

ხევსურს. ანაზდად მომაგონდა მითიური დიოტიმოსი პლატონის „ნადიმიდან“: ***„სიყვარული შობაა მშვენიერებაში, როგორც სულით, ისე სხეულით.“ – ეს თქმა ჩემთვის საცნაური იყო ყოველთვის და საოცარი. პლატონურ სიყვარულს საუკუნეებში იგულვებდნენ, როგორც არა ხორციელს... მაგრამ რად არის პლატონის***

# გრიგოლ რობაქიძის „ახლობელი და უცხო“



***თქმაში ჩაწვეთებული: „როგორც სულით, ისე სხეულით?“ – პლატონის აზრით, სხეულსაც ჰქონია მაშ წილი სიყვარულში? მას არ შეეძლო სხვანაირად ეაზრა, არახორციელი ეროსი მჭლეა და ბერწი. ვერთვოდი ფიქრებს და საიდუმლოს ვუახლოვდებოდი... სრულყოფილ სამყაროში პლატონი, როგორც იდეით განმსჭვალავი ყოფისა, საგულვებელია, აქაც სრულყოფას გულისხმობს. სიყვარული მართლაც, შობა უნდა იყოს მშვენიერებაში: როგორც სულით, ისე სხეულით. ქალი ძველ დროში საიდუმლოს წარმოადგენდა. სქესის წინაშე რიდი მეფობდა. ამაში კოსმიური სუნთქვა ისმოდა. ახლა ეს საიდუმლო ჩანასახშივე მოშთობილია... სიყვარული ფიზიოლოგიური ხდომილებაა...“***

როგორ უნდა გავიგოთ რობაქიძის ეს ე.წ. **ფიზიოლოგიური ხდომილება?** იქნებ ისე, როგორც მისი რჩეული ფილოსოფოსი ნიკოლაი ბერდიაევი ფიქრობდა, როცა თავის მომავალ მეუღლეს წერდა: ***„მთავარი ის კი არ არის ფიზიკურ სიახლოვეზე დამთანხმდე. ეს საშინლად ციტაა და ვერც მივიღებ, რადგან ეს ნიშნავს გახდე მეუღლე მხოლოდ ჩემი გულისთვის და არა საკუთარი სურვილისთვის... შენ ძალიან სუფთა ადამიანი ხარ და შეიძლება ვერც გაიგო სექსის ფსიქოლოგია... არ შემიძლია ჩემთვის უსასრულოდ ახლობელ ქალს, როგორც საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ ინსტრუმენტს ისე ვუყურო... ამას პროსტიტუცია სჯობს, მომიტევე...“***

პარალელები ხშირ შემთხვევაში არ ამართლებს, მაგრამ შორეულ ანალოგიებს მაინც გამოხატავს და შემთხვევითობითაც ადასტურებს თავის არსებობას.

რობაქიძე სიყვარულს ეძებდა ყველგან, მაგრამ ეძებდა უჩვეულო ფორმით, ბედისწერას მინდობილი. ის აღიარებდა ქართველი ქალების მშვენიერებას, მაგრამ მისი ცოლები თუ საყვარელი ქალები, რატომღაც ყოველთვის უცხოელები იყვნენ აქაც, როგორც სხვაგან, რობაქიძის საიდუმლოს ახსნის მცდელობა ნაჩქარევი დასკვნების გამოტანის საშიშროებას უდრის.

გიტა ფონ შტრახვიტცთან ურთიერთობის კონტექსტში ყურადსაღებია რობაქიძის შემოქმედებითი თუ პიროვნული თვისება – ახლობელში დანახული უცხო და – პირიქით: **„მამა და თან სხვა“**. ახლობლები შესაძლოა ყველაზე უცხონი იყვნენ და რობაქიძის თქმით, ყოველი კაცი **„ისწრაფვის სხვაურისა და უცხოსაკენ“...**

და, რაღა თქმა უნდა, უშუალოდ ასოცირდება რობაქიძის უკანასკნელ სასიყვარულო დრამასთან; მისი შემოქმედების და არა მარტო მისი შემოქმედების, არამედ 50-60-იანი წლების ევროპის სურვილთა და ინტერესთა სფეროსთან, ურბანისტული ეპოქის რომანტიკულ თემასთან „გაქცეული ქალისა“, – სხვა სამყაროში გაქცევის სურვილის თანმდევი რეფრენით...

გაქცეული ქალი მხატვარია, რომელიც თავისი ევროპული, პურიტანული ოჯახის მკაცრი წინააღმდეგობის მიუხედავად, გრიგოლ რობაქიძესთან (მისთვის უცხო აღმოსავლურ-დასავლურ ცნობიერებასთან, უცხო ასაკთან გაქცევას და დამკვიდრებას გადაწყვეტს. თუმცა, თავადვე აღიარებს მოსალოდნელი სირთულეების შესაძლებლობას, რადგან სრულიად უცხოა ის გარემო თუ ატმოსფერო, საითკენაც ილტვის და რატომღაც თვლის, რომ აუცილებლად უნდა წავიდეს... (**„რა ძნელია ცხოვრება შენს სამყაროში, როცა არაფერი იცი ამ სამყაროს შესახებ“** – გიტა შტრახვიტცის წერილიდან გრიგოლ რობაქიძეს).

ახლობელი და უცხო, აღმოსავლეთი და დასავლეთი, აღმოსავლეთის და დასავლეთის სინთეზი, ახლობელში დანახული უცხო, უცხოში – ახლობელი, დასავლეთში ნაპოვნი აღმოსავლეთი... – გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების აქცენტებია.

გიტა ფონ შტრახვიტცის დაძაბულ შეკითხვას: **„შევძლებ კი მე გრიგოლი ბედნიერი გავხადო?“** რობაქიძის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების ქრონიკა განმარტავს. მთელი მათი ურთიერთობის მანძილზე, რომელსაც ალბათ უფრო ეპისტოლარული რომანი უნდა ეწოდოს, ბევრი კითხვა რჩებოდა უპასუხოდ, რაც რობაქიძისთვის უფრო და უფრო ძნელად გადასატანი იქნებოდა, ვიდრე საყვარელი ქალის ის საბოლოო, უარმყოფელი წერილი, რომელიც ეკოლ-მედსინის სანაპიროზე ფოსტალიონმა მაშინ მიიტანა, როცა მწერალი უკვე ორი დღის გარდაცვლილი იყო. ვინ იცის, იქნებ ეს ლოგიკური დასასრულიც გახლდათ, რადგან ნებელობით აღსავსე, რვალივით მტკიცე ნებისყოფის პიროვნება გრიგოლ რობაქიძე სწორედ იმ საყვარელ ქალთან მიწერილ წერილში აღიარებდა, რომ ყველაფრის გადატანა და გაძლება შეუძლია და უძლური ხდება მხოლოდ და მხოლოდ **„გაურკვევლობის წინაშე“**. ეს უპერსპექტივო გაურკვევლობა კი ბედისწერასავით იდგა მათ შორის. ასაკობრივი განსხვავების „სენსაციური“ 48 წელი კი ვფიქრობთ, მოჩვენებითი სიმარტივეა, რადგან აქ ზედროული თემაა მთავარი. შემთხვევითი არ შეიძლება იყოს ის განწყობილებები, შტრახვიტცისადმი წერილებში რომ გამოიხატა.

ამ არაჩვეულებრივ, ვირტუალურ მზერაში მოცემული ქალის სილუეტი ფაქტობრივად გრიგოლ რობაქიძის უკანასკნელი, საბოლოო ნამდვილი მსმენელია და თანამოსაუბრე. იგი თითქოს ვალდებულია ყველაფერი სწორად გაიგოს და იგრძნოს. მათი ისტორიის დასასრული არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივიღოთ, როგორც მოხუცი რობაქიძის სენტიმენტალური ბედისწერა.

**„მოსახვევში უცებ გაუჩინარდი“...** – საკუთარი სიზმრის ახსნას ცდილობს გიტა შტრახვიტცი. **„ეს ნიშნავს, რომ მე უკვე მარადისობაში ვიყავი.** – პასუხობს გრიგოლ რობაქიძე **– მიცვალებულებს ვერ ხედავენ, მათი მხოლოდ ესმით“...**

სიცოცხლის ბოლოს რობაქიძემ შექმნა კიდევ ერთი მითი, არაამქვეყნიური სიყვარულის წელიწადი, რომელსაც ყველაზე ნამდვილი სიყვარული დაარქვა („სიყვარული რწმენაა“). „განსხეულებული სიყვარულის“, რომელიც თავისი არსებობის შუქით რომ ელვარებს, რწმენით სავსე გრიგოლ რობაქიძე „უცხო“ ავსტრიელმა გრაფინიამ იმქვეყნიურ გადასასვლელამდე მიაცილა.

შესაძლებელია თუ არა ეგრძნო გიტა შტრახვიტცს თავისი ერთადერთობის ამგვარი არაერთმნიშვნელოვანი მისია? ძნელი სათქმელია. . .

გადის მრავალი წელი და გრაფინია გიტა ფონ შტრახვიტცი, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გამოუტყდება ახლობლებს, რომ მის ცხოვრებაში ერთადერთი ნამდვილი სიყვარული იყო კავკასიელი ეგზოტი გრიგოლ რობაქიძე. ალბათ მისთვისაც „ახლობელი და უცხო“.

**ნინო ხოფერია**

---

# „ყველაფერი ხდება ცხოვრებაში“...





ქეთევან კლიმიაშვილი

შალვა ნუცუბიძის ქალიშვილთან; ქალბატონ **თამარ ნუცუბიძესთან** უაღრესად საინტერესო ავტოგრაფიანი წიგნები და რელიქვიად ქცეული საოჯახო ალბომი დავათვალიერეთ. ამ მასალებს ნაწილობრივ კვირაძალის საკითხავის შემდეგ ნომერშიც გაგაცნობთ. ახლა კი ერთი მშვენიერი 16-17 წლის გოგონას ქეთევან კლიმიაშვილის ფოტოსურათს გთავაზობთ, რომელიც მრავალი წლის მერე შალვა ნუცუბიძის მეუღლე ხდება.

მაშინ კი ამ ფოტოზე აღბეჭდილ გოგონას „სტალინის სარძლოს“ უწოდებდნენ. **ქეთევან კლიმიაშვილი** იყო ქეთუსია ორახელაშვილის კლასელი და ამიტომ ხშირად დადიოდა ორახელაშვილების ოჯახში. მოსკოვიდან თბილისში ჩამოსულ სტუმარს – იაკობ ჯუღაშვილს, რა თქმა უნდა, მამია ორახელაშვილის ოჯახი მასპინძლობდა. აქ ქეთევანმა გაიცნო იაკობი (იაშა), რომელსაც ძალიან მოსწონებია იგი. გოგონათი მოხიბლულმა იაკობა ქეთევანს გააცნო ბებია კეკე. წაიყვანა მოსკოვში. ისინი ძალიან დამეგობრდნენ. კრემლში მისულ ამ ქართველ გოგონას არავინ სთხოვდა საშვს, უგზავნიდნენ ყველა თეატრის და კონცერტის ბილეთებს.

მათი ურთიერთობა გახლდათ ლამაზი, რომანტიკული ისტორია. ამის შესახებ დაიწერა წიგნში იაკობ ჯუღაშვილზე და საილუსტრაციოდ სწორედ ეს ფოტო გამოქვეყნდა.

– ისინი უნდა დაქორწინებულიყვნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ დაშორდნენ – გვიამბობს ქალბატონი თამარ ნუცუბიძე – ყველაფერი ხდება ცხოვრებაში. დედა გათხოვდა და გაჰყვა კაცს, რომლისგანაც ორი შვილი გააჩინა, მაგრამ საბოლოოდ გაცილდა და 28 წლის ასაკში გაჰყვა მამას – შალვა ნუცუბიძეს, რომელიც მაშინ უკვე 53 წლის იყო 25 წლით უფროსი.

ჩვენ, მამას, დედას, ჩემს ძმას თამაზს და მე გვქონდა ბედნიერი ოჯახი..

ერთ დღეს, დედა მაშინ უკვე ხანდაზმული, 80 წლის იყო, რომ დაირეკა ზარი. კარებთან სრულიად ახალგაზრდა კაცი იდგა.

– თქვენ ხართ ქეთინო? – ეკითხება დედას.

გაირკვა, რომ იგი არის იაკობ ჯუღაშვილის შვილიშვილი. მან იცის დედას შესახებ, ფილმს იღებს ბაბუაზე, ინტერვიუ სთხოვა... დედა დათანხმდა... მერე რა მოხდა არ ვიცი. მე ეს ფილმი არ მინახავს. წიგნი იაკობ ჯუღაშვილზე კი ვნახე.

**არანაკლებ საინტერესო ისტორიებს გაეცნობით „კვირაძალის საკითხავის“ შემდეგ ნომერში.**



იაკობ ჯუღაშვილი

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

***— დავეხმაროთ საზოგადოებას სიმართლის გაგებაში! — ეს პროექტიცაა და მთავარი სლოგანიც იმ პროგრამისა, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში საჯარო პოლიტიკის ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი. არადა, ამ მხრივ ქუთაისში რომ ბევრი პრობლემაა, ამაში იმ მასალებმაც დაგვარწმუნა, რომლებსაც სხვადასხვა შეხვედრისა და სატელეფონო საუბრებისას წყალსა და წყალწაღებულებზე მოუყარეს თავი პროექტის დირექტორმა, „ახალი სამოქალაქო საზოგადოება-პლუსის“ ხელმძღვანელმა ლაშა ქელიძემ და ტექნიკურისა და ტექნოლოგიურ საკითხებში პროექტის კოორდინატორმა, იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციის თავკაცმა ზაზა ხელაძემ.***

# ფიქრები სიმართლესა და სამართლიანობაზე,

## ანუ როცა წყალსა და წყალწაღებულებს ვიხსენებთ და განუკითხაობას ვაწყდებით

**— წყლის გადასახადი სულადობის მიხედვითაც მომდის და მრიცხველის მაჩვენებლითაც.— იტყობინება ხანდაზმული მანდილოსანი.**

**— ვცხოვრობ ლესელიძის ქუჩის მეორე შესახვევში, ქვითრები არეულ-დარეულად მომდის. სერვისცენტრს მრავალჯერ შევატყობინე, რომ სულადობაც დიდი ხნის შეცვლილია და მისამართიც, მაგრამ ყველაფერი ძველებურად რჩება, — წუხს მარტოხელა პენსიონერი.**

**— ჩემს ძველ ვალს ადრე მოქმედი ტარიფით კი არ აღრიცხავენ, არამედ ახლით — გაორმაგებული ტარიფით, — ჩივის თომაშვილის ქუჩაზე მცხოვრები.**

ბევრი გამოთქვამს პრეტენზიას იმის გამო, რომ მრიცხველებს წყლის მიწოდებაზე 20 წუთით ადრე ჰაერის მძლავრი ჭავლი ატრიალებს, რაც ისედაც გაძვირებულ წყალს კიდევ უფრო აძვირებს.

**— როგორმე სიმონ ტკბილს ვთხოვოთ, ისრაელიდან სასწრაფოდ დაბრუნდეს ქუთაისში, რათა წყურვილმა არ დაგვახრჩოსო, — იხუმრა ქუთაისის კოლორიტმა ვაჟა ჭყონიამ, როცა შეიტყო, რომ გაძვირების შემდეგ ერთი კუბური მეტრი წყალი ამავე რაოდენობის ბუნებრივი გაზის ფასი გახდა (!).**

ამ სიტუაციურ იუმორს ნამდვილად აქვს გამართლება. „სიმონ ტკბილად“ წოდებული სიმონ ქვიტიაშვილი, რომელსაც მწვანე ბაზართან ედგა ჯიხური, წყალს კაპიკად ან, საერთოდ, უფასოდაც ასმევდა მწყურვალს. ქუთაისის „სერვის-მწარემ“ კი ისე გაგვიძვირა წყალი, რომ წყურვილით გვახრჩობს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ქალაქი სიმართლისა და სამართლიანობის დადგენაში დახმარებას განსაკუთრებით იმ საკითხებზე მოითხოვს, რომლებიც დაკავშირებულია ტარიფის გაზრდასთან, მრიცხველების დადგმისას საფასურის აღებასა და სასმელი წყლის უაზრო დანაკარგებთან. ჩვენც ჩვენს რესპონდენტებს სწორედ ამ პრობლემაზე ვესაუბრებით.

* * *

— **„საქართველოს რესპუბლიკის“** წლევანდელი 15 მარტის ნომერში ინტერესით გავეცანით თქვენს სტატიას **„ღმერთმა ნუ ქნას, მოთმინების ძაფი გაწყდეს“**. სავსებით ვეთანხმებით, რომ „წყლისა და წყალწაღებულების ამბავი“ არა მარტო ქუთაისისთვის, არამედ სრულიად საქართველოსთვისაც შეიძლება ძალზე ცუდად დამთავრდეს. — გვეუბნება **ზაზა ხელაძე,** — 2011 წლის შემოდგომიდან ყოველ კუბურ მეტრ წყალზე ტარიფის 27 თეთრიდან 49 თეთრამდე გაზრდას არც ლოგიკური და არც ეკონომიკური დასაბუთება არა აქვს. განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ ეს ყოვლად გაუმართლებელი ნაბიჯი არათუ წინასწარ განიხილეს, არამედ გადაწყვეტილება საზოგადოებას საგანგებოდაც უმალავდნენ და იგი აბონენტებისათვის მხოლოდ დეკემბერში გახდა ცნობილი.

— თქვენი არ იყოს, „სემეკის“ მიერ 2011 წლის 26 ოქტომბრის ოქმს ჩვენც ვერაფერი გავუგეთ და დავინტერესდით, რა მონაცემებით სარგებლობდა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია, როდესაც წყლის ღირებულებას აორმაგებდა, თანაც მხოლოდ და მხოლოდ ქუთაისში. ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი რომ მიგვეღო, მივმართეთ კომისიის აღმასრულებელ დირექტორს. ვთხოვდით, ეცნობებინა, რა ურთიერთობაშია წყალმომარაგების ტარიფი და წლის მოხმარების რაოდენობის შემცირება, ანუ ნაკლები რაოდენობის პროდუქციის შესყიდვა. — ერთვება საუბარში **ლაშა ქელიძე** და „სემეკის“ თავმჯდომარის გ. ჩალაგაშვილის 2012 წლის 16 მარტის პასუხს გვაწვდის. მასში ვკითხულობთ, რომ **„სემეკი“ განცალკევებულად არ ფლობს მოთხოვნილ ინფორმაციას ქალაქ ქუთაისისთვის მიწოდებული სასმელი წყლის შესახებ“, მაგრამ ამ განცხადების მიუხედავად, მაინც ცდილობს, ამტკიცოს, თითქოს „წყალმომარაგება-მიწოდებისათვის საჭირო ყველა ხარჯი ნაწილდება მისაწოდებელი წყლის ოდენობაზე, რის შედეგადაც ხდება წყალმომარაგების ტარიფის გაანგარიშება“.**

უცნაურია.

თუ ბატონი თავმჯდომარე და მისი უწყება **„განცალკევებულად არ ფლობს ინფორმაციას ქუთაისისათვის მიწოდებული წყლის შესახებ და მოიცავს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების სისტემას მთლიანად“,** ამასთან **„მასში რომელიმე ერთი რეგიონი გამოყოფილი არ არის“,** მაშინ როგორ მოხდა, რომ **„განსაკუთრებულად“ „გამოყვეს“** ქუთაისი და **ტარიფი მხოლოდ ქუთაისელებს გაუორმაგეს?**

ალ. შენგელია: **ვფიქრობ, არანაკლებ აღმაშფოთებელი და ალოგიკურია აბონენტების გამრიცხველიანობასთან დაკავშირებული გაუგებრობა.**

**ზაზა ხელაძე:** სავსებით გეთანხმებით, თუმცა ამას გაუგებრობა კი არა, სხვა სახელი უფრო შეეფერება.

**მილენიუმის პროგრამით ქუთაისმა ამერიკელი ხალხისაგან საჩუქრად მიიღო 21.880 მრიცხველი, რომელთა საერთო ღირებულება 2 მილიონ 317 ათას 200 ევრო. ამ საჩუქრიდან კერძო მოსახლეებს უფასოდ მხოლოდ 7.800 მრიცხველი დაუდგეს. დანარჩენი 13980 კი სად დაიკარგა, დღემდე გაურკვეველია. არადა, 14 ათასამდე აბონენტს 100-100 ლარის ახდევინებდნენ.**

— ამ საკითხთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა „სას“-ს შეკითხვაზე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის რამაზ ბლუაშვილის პასუხი. — გვეუბნება **ლაშა ქელიძე.** — **მის ბარათს 2011 წლის 18 იანვარს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტიც ერთვის, რომელიც ადასტურებს მილენიუმის საჩუქრის რეალობას.**

**ინფორმაცია განსჯისთვის: რით აიხსნება, ძნელი სათქმელია, რადგან ჯერჯერობით ესეც „გასაიდუმლებულია“, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: წლევანდელი მარტიდან, კერძოდ „საქართველოს რესპუბლიკაში“ კრიტიკული წერილის გამოქვეყნების შემდეგ, აბონენტებს, რომლებსაც ქუთაისის, სერვისცენტრთან ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული, რომ 100 ლარს ნაწილ-ნაწილ დაფარავდნენ, ამ ფულს უკვე აღარ ახდევინებენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხალხი მაინც კვლავ გაურკვევლობაშია. ვერ გაუგიათ, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს „ამნისტია“ — 7 თვის განმავლობაში, ესე იგი არჩევნების დამთავრებამდე თუ შემდეგაც?!**

**ლაშა ქელიძე:** ჩვენი სლოგანი, „დავეხმაროთ საზოგადოებას სიმართლის გაგებაში“, გვავალდებულებს, როგორმე დავძლიოთ ყველა ბიუროკრატიული ბარიერი, რათა ამ მტკივნეულ პრობლემაზეც მოვიპოვოთ სრული ინფორმაცია და საზოგადოებას ვესაუბროთ ყველა იმ საკითხზე, რომლებიც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მაგრამ დღემდე ბუნდოვანია.

**ალ. შენგელია: ალბათ, საჭიროა, გაირკვეს იმ აბონენტების მდგომარეობაც, რომლებიც მრავალსართულიან კორპუსებში ცხოვრობენ და წყალს დამატებით დანახარჯების გარეშე ვერ იღებენ.**

**ზაზა ხელაძე:** ეს საკითხი საგანგებოდ შევისწავლეთ საქველმოქმედო ფონდ „სოხუმის“ ამომრჩეველ ქალთა კლუბთან და ამავე ფონდის ადვოკატირების ჯგუფთან ერთად. ამ მიზნით გამოვიკვლიეთ დავით აღმაშენებლის გამზირის ოთხ მრავალსართულიან კორპუსში შექმნილი მდგომარეობა. გაირკვა, რომ მოსახლეობას წყალი მხოლოდ 2-3 საათით, თანაც დაბალი წნევით მიეწოდება და მეოთხე სართულზეც ვერ ადის. ადრე ამასთან დაკავშირებით დამატებით ხარჯებს ითვალისწინებდნენ და ამ კატეგორიის აბონენტებისათვის ტარიფი დაწესებულის 50 პროცენტი იყო, მაგრამ 2010 წლის შემოდგომიდან ეს შეღავათიც გააუქმეს.

ამ საკითხთან დაკავშირებული დისკუსიის ანალიზი უკვე გავაცანით როგორც ადგილობრივ თვითმმართველობას, ისე „სემეკს“, წყალმომარაგების ქუთაისის სერვისცენტრსა და ფაქტობრივად ქალაქში მოღვაწე ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას. ვეცდებით, ხალხს თითოეული მათგანის პასუხი შევატყობინოთ, რათა ბოლომდე გაეცნონ სიმართლეს და თვითონვე გამოიტანონ სათანადო დასკვნები.




საქართველოს დამსახურებული მხატვრის მურთაზ აბაშიძის კარიკატურა. ავტორის პირადი არქივიდან

**ბევრი ცდილობს, დაამტკიცოს, თითქოს ჩვენს ქალაქში დანაკარგები 48-დან 27 პროცენტამდე შემცირდა. თუმცა 15 მარტს დასტამბულ სტატიაშიც ვწერდი და ახლაც ვიმეორებ, რომ ამ ფიციმტკიცის არ მჯერა, რადგან ყოველდღე ვხედავ მდინარეს, ჩემსა და მრავალ სხვა ქუჩაზე რომ მიედინება, აგრეთვე ტბებს, რომლებმაც ბევრი სარდაფი დატბორა და სახლებს ლიბო-საძირკვლის გამოცლით ემუქრება.**

**საინტერესოა, ვინ უნდა ზღოს ეს ზარალი და ვინ უნდა აღადგინოს ასფალტაყრილი, დახრამული და ეროზირებული ქუჩები, რომლებზეც ტრანსპორტით კი არა, ფეხით სიარულიც საშიშია?**

**ეს პრობლემა ბევრ ქუთაისელს აწუხებს და ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ ზემოხსენებული ორი და ქალაქის სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით აქაც მალე მოეფინება ნათელი სიმართლეს. დარწმუნებული ვართ, რადგან სიმართლის დადგენა სამართლიანობის აღდგენის აუცილებელი წინაპირობაა, მით უფრო მაშინ, როცა საქმე ისედაც გალატაკებული მოსახლეობის გაძვირებული წყლით გაძვალტყავებას ეხება.**

ალექსანდრე შენგელია

---

**ინფორმაცია**

## რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის სავაჭრო ომი იწყება

**ექსპერტები აცხადებენ, რომ ვითარების დაძაბვას, ისევე, როგორც საქართველოს, მოლდოვის, პოლონეთისა და ევროკავშირის შემთხვევაში, საბაბად პოლიტიკა უდევს. გასულ კვირას „როსსელხოზნადზორმა“ აზერბაიჯანი რიგი პროდუქციის შეტანის, შესაძლო, აკრძალვის თაობაზე გააფრთხილა. ყურადღება გამახვილდა თხილზე და სხვადასხვა სახის მშრალ ხილზე.**

**„ჯერჯერობით საუბარი არ არის სრულ აკრძალვაზე. თუმცა ეს სერიოზული გაფრთხილებაა და მას ყურს თუ არ დაუგდებენ, ჩვენ შეგვიძლია სრულად ავკრძალოთ მშრალი ხილის შემოტანა“, — განაცხადა „როსსელხოზნადზორის“ პრესმდივანმა ალექსეი ალექსეენკომ. მისივე თქმით, რუსეთს არ სურს აზერბაიჯანიდან ნაგავის შეტანა, რადგან ამ პროდუქციაში, შესაძლოა, იყოს სოფლის მეურნეობისთვის საშიში სხვადასხვა მწერები, პარაზიტები და ა.შ.**

**აზერბაიჯანული მედია ყურადღებას ამახვილებს „როსსელხოზნადზორის“ ფიტოსანიტარიული კონტროლის კარანტინის განყოფილების უფროსის მარინა მურსალოვას კომენტარზე.**

**„ჩვენ მივიღეთ რამდენიმე წერილი „როსსელხოზნადზორის“ აპარატიდან მოთხოვნით გავაძლიეროთ კონტროლი აზერბაიჯანიდან, უზბეკეთიდან და თურქმენეთიდან შემოტანილ კარანტის დაქვემდებარებულ პროდუქციაზე“, — აცხადებს მარინა მურსალოვა და დასძენს, „აღვნიშნავ, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩვენს მიერ არც ერთხელ არ გამოვლენილა მავნე კარანტინული ორგანიზმები მშრალ ხილში, რომელიც აზერბაიჯანიდან დაღესტნის ტერიტორიაზე შემოდის“. თავად აზერბაიჯანული მხარე გაკვირვებას გამოთქვამს რუსული მხარის პოზიციით. აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფიტოსანიტარიული ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის უფროსის მოადგილე ალედინ ეივაზოვი აცხადებს, რომ რუსეთის ბრალდებები მათთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა.**

**„როსსელხოზნადზორის“ ბრალდებები აზერბაიჯანის მისამართით აბსოლუტურად უსაფუძვლოა. ამჟამად ჩვენ ვამზადებთ საპასუხო წერილს შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით“, — აცხადებს ეივაზოვი.**

**აზერბაიჯანში აცხადებენ, რომ ამ საკითხის მიღმა ადვილად იკითხება ჩრდილოელი მეზობლის პოლიტიკური ინტერესები, კერძოდ - ის ეხება გაბალის რადიოლოკაციურ სადგურს. ამ ყველაფრის პარალელურად რუსეთის ფედერალურ არხებზე აქტიურად ტრიალებს „მოსკოვის ბაზრებზე აზერბაიჯანული მაფიის თემა“.**

**„სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ქმედებებით ოფიციალურ ბაქოს მიანიშნებენ, რომ რადიოლოკაციური სადგურის საკითხზე მოლაპარაკებებში ის მოსკოვთან რბილი პოზიციით უნდა წარმოჩნდეს“, — წერს აზერბაიჯანული მედია.**

ჯი-ეიჩ-ენი

ჭადრაკი

# კურიოზული ჩემპიონატი



**ბულგარულ პლოვდივში დღეს დამთავრდება ევროპის მოჭადრაკე ვაჟთა მე-13 ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 9 წარმომადგენელი მონაწილეობს. ჩვენებურთაგან მედლის მოპოვების შანსი ევროპის ორგზის პრიზიორ ბაადურ ჯობავას ჰქონდა, მაგრამ მე-9 ტურში მოსკოველ თანამემამულე მიხეილ ქობალიასთან დამარცხების შემდეგ ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა.**

პლოვდივური ბატალიები მის მონაწილეებს, დაძაბული ორთაბრძოლების გარდა, საინტერესო ფაქტებითაც დაამახსოვრდებათ: გასულ შაბათ-კვირას ევროპელთა საზაფხულო დროზე გადასვლამ შვიდი მოჭადრაკე დააზარალა, მათ შორის – ექვსი ქართველი, რომლებმაც ტურზე დააგვიანეს და წაგება ჩაეთვალათ. მომდევნო ტურში მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტი შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2752) – შოთა აზალაძესთან სათამაშოდ 1,5 წუთით დააგვიანა და მისი გრაფის გასწვრივაც ნული ჩაეწერა. მორიგი ტექნიკური მარცხი მეცხრე ტურში იწვნია (მეტოქესთან ერთად), როცა ალონსოს 40 სვლამდე დაუზავდა. ეს კი, ჩემპიონატის დებულებით, აკრძალულია. აზერბაიჯანელმა განცხადება დაწერა და ჩემპიონატი მიატოვა. ასევე დაზარალდნენ ელთაჯ საფარლი (აზერბაიჯანი) და ტალ ბატონი (ისრაელი), რომლებიც პოზიციის სამჯერ განმეორების გამო მე-40 სვლაზე შეთანხმდნენ ყაიმზე. არბიტრებმა მოჭადრაკეებს წაგება ჩაუთვალეს და მათი აპელაციაც არ განიხილეს.

**ლაშა დიდია**

ფიგურული ციგურაობა



# მეშვიდეზე – მედლის შანსით

**წლეულს ფიგურულად მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატზე 22 წლის ელენე გედევანიშვილმა ბრინჯაოს მედალი მეორედ მოიპოვა. ამჟამად იგი ფრანგულ ნიცაში პლანეტის უძლიერეს მოციგურავეებს ეჯიბრება. წინა მსოფლიოზე მან მე-10 ადგილი დაიკავა.** მიმდინარე ჩემპიონატზე ელენემ მოკლე პროგრამით 58.49 ქულა მოაგროვა და მე-7 ადგილზეა, თუმცა მედლის მოპოვების შანსი არ დაუკარგავს – მესამე ადგილზე მყოფი ოთხგზის ევროპის ჩემპიონი კაროლინა კოსტნერი (იტალია) ჩვენებურს მხოლოდ 2,51 ქულით უსწრებს. ყველასთვის მოულოდნელად მოკლე პროგრამის შემდეგ პირველ საფეხურზე აღმოჩნდა რუსი ალიონა ლეონოვა – 64,61. ამ ორი მოციგურავის გარდა, გედევანიშვილს უსწრებენ კანაკო მურაკამი (იაპონია) – 62.67, ოლიმპიური ჩემპიონი მაო ასადა (იაპონია) – 59.49, აკიკო სუძუკი (იაპონია) – 59,38 და ქსენია მაკაროვა (რუსეთი) – 58,51. მერვე-მეათე ადგილებს ეშლი ვაგნერი (აშშ) – 56,42, კექსინ ჟანი (ჩინეთი) – 55,00 და ვიქტორია ჰელგესონი (შვედეთი) – 54.19 ინაწილებენ.

თავისუფალი პროგრამით 24 საუკეთესო მოციგურავე ქალი მედლებისთვის შაბათს – მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო დღეს დაუპირისპირდება ერთმანეთს.

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# ვისთვის დილაა, ვისთვის – ღამე

**ტურინის „იუვენტუსის“ ქომაგებს თავი მოაქვთ, რომ საყვარელი კლუბი „სერია-ა“-ს წლევანდელ სეზონში ჯერაც დაუმარცხებელიაო (14 მოგება, 15 ფრე), მაგრამ რამდენად საფუძვლიანად ამაყობენ ისინი „ბებერი ქალბატონის“ ასეთი მონაგრით, საკითხავი, აი, ეს არის – საჩემპიონო რბოლას ხომ სოლიდური უპირატესობით „მილანი“ ლიდერობს.**

დაუმატეთ ამას ახალი თავკაცის – გაურკვეველი მიზეზით განთავისუფლებული თემურ მახარაძის შემცვლელის თემურ შალამბერიძის ფაქტორი, რომელიც, სხვათა შორის, აქამდე „დინამოს“ ბავშვთა აკადემიაში უძღვებოდა მომავალი თაობების დაოსტატებას და მიხვდებით, რატომაც შესთავაზეს სტუმრებმა ფავორიტს შეუპოვარი ბრძოლა.




დაახლოებით ასევეა თბილისის „დინამოს“ საქმეც. მას შემდეგ, რაც ესპანელი ალექს გარსია „თეთრ-ლურჯთა“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე გიორგი დევდარიანმა შეცვალა, ბევრს ეგონა, რომ დილმელთაგან ძვირფასი ქულების უაზროდ ფანტვას წერტილი დაესმებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა – დაიწყო მეორე ეტაპი და როცა „ზესტაფონთან“ კარგა გვარიანი ჰანდიკაპის აღმოსაფხვრელად უდანაკარგოდ თამაში იყო აუცილებელი, დედაქალაქელებს სწორედ მაშინ შეეყარათ საყაიმო ეპიდემია, რის შემდეგაც, ოქროს მედლებს ვილა ჩივის, საპრიზო ადგილზე გასვლაც კი სათუო გახდა.

**„დინამო“ – „დილა“ 0:0**

საევროპედ შემართულ შიდაქართლელებს საერთაშორისო სარბიელზე ბილიკის გასაკვალავად დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის მოპოვება მართებთ, მაგრამ არის კიდევ ისეთი რაღაც, რასაც თავმოყვარეობა ჰქვია, რაც ქვეყნის ჩემპიონატშიც ღირსეულად ასპარეზობას გულისხმობს. მეტიც – დინამოელები ბედს უნდა უმადლოდნენ, ზედიზედ მეოთხედ რომ დაამთავრეს შეხვედრა ზავით, რადგან ბოლო წუთზე ბურთი მათი კარის ძელმა მოიგერია.

**დანარჩენი გამოტოვებული მატჩების შედეგები:** „ზესტაფონი“ – „ტორპედო“ 0:0, „კოლხეთი“ – „ბაია“ 2:1.

**სატურნირო მდგომარეობა პლეი-ოფის IV ტურის შემდეგ:** „ზესტაფონი“ – 38, „მეტალურგი“ – 32, „დინამო“ – 27, „ტორპედო“ – 26, „კოლხეთი“ – 19, „დილა“ – 18, „მერანი“, „ბაია“ – 17-17 ქულა.

**ბომბარდირი.** დვალი („ზესტაფონი“) – 14 გოლი.

**შემდეგ ტურში ითამაშებენ:** „დილა“ – „მერანი“, „ბაია“ – „ზესტაფონი“, „მეტალურგი“ – „ტორპედო“ (1 აპრილი), „დინამო“ – „კოლხეთი“ (2 აპრილი).

* * *

**ევროპის ლიგის მეოთხედფინალი. I მატჩები.** „ალკმაარი“ – „ვალენსია“ 2:1, „შალკე“ – „ბილბაო“ 2:4, „ატლეტიკო“ – „ჰანოვერი“ 2:1, „სპორტინგი“ – „მეტალისტი“ 2:1.



კალათბურთი

# კალათესმა კალათი დასეტყვა

**ნიკ კალათესი ამერიკაში დაბადებულ-გაზრდილი ბერძენი კალათბურთელია, თუმცა მას შემდეგ, რაც ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულმა „პანათინაიკოსში“ დაიწყო თამაში, შედეგიანობით არასდროს გამოირჩეოდა. და აი, მისი დროც მოვიდა.**

**„მაკაბი“ – პანათინაიკოსი“ 69:78 (2:2).**

თანამედროვეობის გამორჩეული მწვრთნელების დევიდ ბლატისა და ჟელკო ობრადოვიჩის ტაქტიკური დუელი ამჯერად ევროლიგის რვაგზის ტრიუმფა-




ტორმა ბალკანელმა მოიგო, რაშიც მისი კლუბის საკულტო ფიგურასთან – დიამანტიდისთან ერთად გადამწყვეტი წვლილი სწორედ წერილის შესავალში ნახსენებმა კალათესმა (15 ქულა), იასიკიავიჩიუსმა (13 ქულა) და კაიმაკოღლუმ (12 ქულა) შეიტანეს.

რაც შეეხება მასპინძლებს, მათმა ლიდერებმა ლენგფორდმა, ელიაჰუმ და ოჰაიონმა, მართალია, კარგად დაიწყეს ბრძოლა, მაგრამ კრიტიკულ ვითარებაში პარტნიორები დაალალატეს. ალარაფერს ვამბობთ გამარჯვებულთა თანამემამულე შორცანიდისზე, რომელმაც ბავშვური შეცდომებით მალევე მოუყარა თავი პერსონალურ შენიშვნებს და სათადარიგოთა სკამზე 0 (!) ქულით გადაინაცვლა.

ასე რომ, ალქმული მიწის შვილებმა ოთხთა ფინალში ვადამდე გასვლის ჩინებული შანსი გაუშვეს ხელიდან და 4 აპრილს ათენში ჯოჯოხეთის ტოლფას ტრიბუნებთან მოუწევთ გამკლავება დასკვნით შეხვედრაში.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან



# ბებიის დასაცავად

**ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში, კარიერა რესტლინგშიც რომ გაიკეთა, ამერიკელმა კურტ ენჯელიმ საქვეყნოდ განაცხადა, რომ აუცილებლად თავად დასჯის იმ თაღლითებს, ბებიამისს 5 ათასი დოლარი რომ გამოსტყუეს.**

ამ დღეებში სპორტსმენის წინაპარს, პიტსბურგში რომ ცხოვრობს, დომინიკელთა რესპუბლიკიდან დაურეკეს და აცნობეს, თითქოს მისი შვილიშვილი კურტი ციხეში მოხვდა და მის გამოსახსნელად დიდი თანხაა საჭირო, არა და საქმე ცუდად წაუვაო. შეშფოთებულმა ბებიამ თითქმის მაშინვე დასახელებული თანხა მითითებულ ანგარიშზე გადარიცხა იმ იმედით, რომ კურტის საქმე გამოსწორდებოდა. მეორე დღესაც გაისმა ზარი და მოხუცს კიდევ 4 ათასი დოლარი მოსთხოვეს. მაშინ მოხუცი მიხვდა, რომ ატყუებდნენ და კურტს დაურეკა. გამოირკვა, რომ მისი შვილიშვილი დომინიკაში არ ყოფილა და არც ციხეში მოხვედრილა.

თავად ენჯელიმ დაიფიცა იმ ძაღლიშვილების პოვნა და ღირსეულად დასჯა.

მუქარა



# მეტოქის კარს გაჩვენებთ

**ასე დაჰპირდნენ გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მეოთხე ლიგის გუნდს „მაგდენბურგს“ გულშემატკივრები, გუნდის დაბალი შედეგებით რომ აღშფოთდნენ – 25 მატჩში 16 გოლი.** მათ ტრიბუნებზე აქცია მოაწყეს და თავიანთ ფეხბურთელებს ხუთი უგოლი მატჩის შემდეგ მრავალფეროვანი ისრებით აჩვენებდნენ მეტოქის კარის მიმართულებას. მართალია, მათ გოლი გაიტანეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ – 1:2.

ახლა გულშემატკივრები „მაგდენბურგისთვის“ გამარჯვების სხვა საშუალებებს ეძებენ.

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
# ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

[illegible]

| № | X | Y |
|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] |
| 3 | [illegible] | [illegible] |
| 4 | [illegible] | [illegible] |
| 5 | [illegible] | [illegible] |
| 6 | [illegible] | [illegible] |
| 7 | [illegible] | [illegible] |
| 8 | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | | |
| [illegible] | | |

[illegible]

[illegible]

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის მოთხოვნებსა და პირობებს და რომელიც ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

სულიერება

# დიდმარხვის მეხუთე კვირიაკე



**1 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს მარიამ მეგვიპტელს. წელს მისი ხსენება დაემთხვა დიდმარხვის მე-5 კვირიაკეს.**

...ღირსი მარიამი VI საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. მისი სიყმაწვილე მას კარგს არაფერს უქადდა. მარიამს მხოლოდ თორმეტი წელი შეუსრულდა, როცა თავისი სახლიდან ალექსანდრიაში წავიდა... დაღუპვისკენ მიმავალს გზაზე მას შემჩერებელი არავინ ჰყავდა, საცდურნი და მაცდუნებელნი კი თავზე საყრელად იყო. ასე ცხოვრობდა ცოდვებში მარიამი 17 წლის განმავლობაში, სანამ მოწყალე უფალმა იგი სინანულად არ მოაქცია.

...გარემოებათა დამთხვევით, მარიამი წმინდა მიწაზე მიმავალ მომლოცველთა ჯგუფს შეუერთდა, მაგრამ უხილავმა ძალებმა ის ტაძარში არ შეუშვეს.

სინანულის გრძნობით შეპყრობილმა მარიამმა ღვთისმშობლის ხატს შუამდგომლობა სთხოვა; ამის შემდეგ მან მაშინვე სულში სინათლე იგრძნო... იგი ტაძრიდან სულ სხვა ადამიანი გამოვიდა.

მარიამმა თავისი ცხოვრება მკაცრად შეცვალა და იორდანიის უდაბნოში, მარტოობაში თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა.

მარიამ მეგვიპტელმა თავისი გული სულიწმინდის სუფთა ტაძრად აქცია.

522 წელს წმინდანი მარიამ მეგვიპტელი გარდაიცვალა. უდაბნოში ბერმა ზოსიმემ მარიამის ნეშტი დაკრძალა, რაშიც თურმე მას ლომიც დახმარებია.

**გიული ლიპარტია**

---

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს გიორგი დუნდუას და დარეჯან ელიაძეს დედისა და დედეამთილის

**ეთერ შალვას ასულ ჯღარკავა-დუნდუას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს სხვა ჭირისუფალთ.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური თანაუგრძნობს გიორგი დუნდუას და დარეჯან ელიაძეს დედისა და დედამთილის

**ეთერ შალვას ასულ ჯღარკავა-დუნდუას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს სხვა ჭირისუფალთ.

შვილები რუსუდან, თეიმურაზ ჩარკვიანები, რძალი ნინო ქორქაშვილი, შვილიშვილები ნათია, რუსუდან ჩარკვიანები, მერი გვერდწითელი, სიძეები ზაზა გვერდწითელი, დავით ჭიჭინაძე, დავით იაშვილი, შვილთაშვილები თეიმურაზ, ნიკოლოზ, ლუკა, ნინო, გიორგი, ზაზა, ერეკლე, მაზლიშვილები ნინო, თენგიზ ჩარკვიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მერი ჯაფარიძე-ჩარკვიანი**

პანაშვიდი 1, 2 IV, 17 სთ. დაკრძალვა 3 IV, 15 სთ. მისამართი: ქ. თბილისი ქობულეთის ქუჩა №18.

ნინო, თენგიზ ჩარკვიანები, მანანა რობაქიძე, რეზო ციციშვილი, სალომე, ლევან ჩარკვიანები, ზაზა ციციშვილი, ლანა მინდელი, მანანიკო მუსხელიშვილი, მიშა ძაძამია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მერი ჯაფარიძე-ჩარკვიანისა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



ანზორ შონია, დიანა კვირტია, დოდო დადიანი, რუსუდან ქავთარაძე შვილებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდებული პიროვნება, ღირსეული მამულიშვილი

**თამაზ კანდელაკი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 1, 2 IV, 17 სთ. ჭავჭავაძის გამზირი 2/2, II სადარბაზო, IV სართული, გამოსვენება 3 IV, 15 სთ. საბურთალოს „ამაღლების ეკლესიიდან".

გურამ სანაძის მეგობრები — რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, გაიოზ გალდავაძე, დათო დათოშვილი, ივიკო საყვარელიძე, ბონდო ქობულია, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, დემურ მიქაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**თამაზ კანდელაკის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### ექსპორტზე სიმინდის საერთო მოსავლის მხოლოდ 0,3 პროცენტი გავიდა

სომხეთში 1300 ტონა სიმინდის ექსპორტირება მოხდა. ეს ნიშნავს, რომ მთავრობის გეგმები 100 ათასი ტონა სიმინდის ექსპორტთან დაკავშირებით 99 პროცენტით ჩავარდა. 1 ტონა სიმინდი სომხებმა 480 ლარად, ანუ 290 დოლარად იყიდეს, არადა 2011 წლის მიწურულს სოფლის მეურნეობის სამინისტრო გვარწმუნებდა, რომ სიმინდის ექსპორტზე გაუსვლელობის მიზეზი დაბალი ფასები იყო და სამინისტრო სიმინდის ღირებულების 400 ლარამდე გაზრდას ელოდა.

**„რეზონანსი".**

### ნუ იყიდით ძვირად იაფფასიან სიყალბეს!

დღეს საქართველოში აფთიაქიც ბევრია და მსოფლიოში არსებული თითქმის ყველა მედიკამენტის ყიდვაცაა შესაძლებელი. თუმცა, ქართული ფარმაცია დღესაც უამრავი სერიოზული პრობლემის წინაშე დგას. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ თუ ადრე ეს დარგი მხოლოდ ბარიგების ხელში იყო, დღეს მაფიოზი ჩინოვნიკების ხელშია... დღეს ბაზარი სავსეა ფალსიფიცირებული წამლებით და მთლიანად რევიზიას საჭიროებს.

**„ვერსია".**

### „აბა, გაბედოს და არ დამიბრუნოს მოქალაქეობა, აბა, გაბედოს და არ დაიხიოს უკან"

— აცხადებს ბიძინა ივანიშვილი დედოფლისწყაროში „ქართული ოცნების" ოფისის გახსნისას, — რამდენიმე დღე დარჩა ჩემი მოქალაქეობის დაბრუნებამდე და აბა, გაბედოს და არ დამიბრუნოს მოქალაქეობა, აბა, გაბედოს და არ დაიხიოს უკან... სააკაშვილის მიერ აგებული სიცრუისა და ძალადობის მანქანა ეტაპობრივად დაიმსხვრევა.

**„ახალი თაობა".**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).
ფასი შეთანხმებით.
ტ. 593 537-988, 551 480-096.

---

დაიჯესტი

### გამოგონების საფასური – 500 გირვანქა სტერლინგი ჯარიმა

**ცილინდრი შლაპებით მოვაჭრის ჯონ ჰეტერინგტონის ქმნილებაა, რომელსაც მისი ფანტაზიის ნაყოფმა მრავალი უსიამოვნება შეახვედრა. მათზე ლონდონის ერთ-ერთი გაზეთი 1797 წლის 26 იანვარს წერდა:** „გუშინ მისტერ ჯონ ჰეტერინგტონი სანაპიროს ტროტუარზე სეირნობდა, რა დროსაც თავზე უცნაური ბზინვარების აბრეშუმით შემოჭიმული უზარმაზარი მილი ეხურა, რომელიც გამვლელებზე საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდა. მრავალმა ქალმა გრძნობა დაკარგა, ბავშვები ხმამაღლა ტიროდნენ, ერთმა ახალგაზრდა კაცმა კი ჭყლეტაში ხელი მოიტეხა. ამ შემთხვევის გამო მისტერ ჰეტერინგტონი პოლიციის რაზმმა ლონდონის ლორდ-მერთან მიაბრძანა. დაკავებულმა განაცხადა, რომ სრული უფლება აქვს, თავისი გამოგონება პოტენციურ მყიდველებს წარუდგინოს, მაგრამ მისი ეს მოსაზრება ლორდ-მერმა არ გაიზიარა და 500 გირვანქა სტერლინგის ჯარიმის გადახდა მიუსაჯა".





### გარუჯვა გაბერებთ, ქალბატონებო!

**ბრიტანელმა მეცნიერებმა გაფანტეს მითი იმის შესახებ, რომ ტანწერწეტობა ქალებს აახალგაზრდავებს.**

გამოკვლევაში ორასმა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა, რითაც დადგინდა, რომ გამხდარი ქალები არც ისე ახალგაზრდულად გამოიყურებიან, როგორც მათი ჭამის ტრფიალი თანატოლები. გამხდარი სახე ქალს, ხშირად, რამდენიმე წლის ასაკს უმატებს და პირიქით — სავსე ლოყები ახალგაზრდობის ასოციაციას იწვევს. მაგრამ იმის გამო, რომ სავსე ლოყები, ჩათქვირული თეძოებისა და, საერთოდ, ოდნავ ჭარბი წონის გარეშე არ არსებობს, ქალებმა უნდა აირჩიონ: ან ახალგაზრდული იერი შეინარჩუნონ, ან წერწეტა ტანი.

სიგამხდრის გარდა არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ქალს ვადამდე აბერებენ. ესენია თამბაქოს წევა, ცოლქმრული გაყრა, ალკოჰოლის მიღება და გარუჯვა.

კადრი



---

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24